# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


სამშაბათი, 23 აპრილი. 2019 წ. №81 (8747) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


# მშიერი აფთრების ზეიმი



3

## შეშლილი, შეშლილი, შეშლილი „რუსთავი-2“

# ეს არის ქვეყნის ტრაგედია და სახელმწიფოს სირცხვილი!

## მარტვილში 15 წლის ბიჭის თვითმკვლელობას პრეზიდენტი ეხმაურება

**საქართველოს პრეზიდენტი მარტვილში 15 წლის ბიჭის თვითმკვლელობას ეხმაურება და აცხადებს, რომ ბავშვის შიმშილისა და თვითმკვლელობის ურთიერთკავშირი, არის ქვეყნის ტრაგედია და სახელმწიფოს სირცხვილი.** პრეზიდენტი ჯანდაცვის სამინისტროს და სოციალური დაცვის დეპარტამენტს მოუწოდებს, დაიწყოს სოციალურად დაუცველი ოჯახების აღწერა და ამ ოჯახების ბავშვებისთვის მიღებულ იქნეს განსაკუთრებული ზომები.

**„მე ვერ გავარკვევ, რამდენი ფაქტორი იყრის თავს ასეთი ტრაგედიის წარმოქმნაში, მაგრამ მე, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტმა, ვიცი, რომ ბავშვის შიმშილისა და თვითმკვლელობის ურთიერთკავშირი, არის ქვეყნის ტრაგედია და სახელმწიფოს სირცხვილი. ასეთი ტრაგედიები უნდა აღიკვეთოს. ამიტომ აქვე მივმართავ ჯანდაცვის სამინისტროს და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურს, სასწრაფოდ დაიწყოს სოციალურად დაუცველი, უკიდურესად ღარიბი ოჯახების აღწერა და ამ ოჯახების ბავშვებისთვის მიღებულ იქნას განსაკუთრებული ზომები. მე ვიზიარებ გარდაცვლილის ოჯახის მწუხარებას და ბოდიშს ვუხდი, როგორც ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქე. ამავდროულად, უნდა ვთქვა ისიც, რომ სირცხვილად მიმაჩნია ასეთი ტრაგედიის პოლიტიკური ნიშნით გამოყენება,“** — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

# სალომე ზურაბიშვილმა და მამუკა ბახტაძემ ვლადიმერ ზელენსკის უკრაინის პრეზიდენტობა მიულოცეს!

**„ვულოცავ ვლადიმერ ზელენსკის უკრაინის ახალ პრეზიდენტად არჩევას, უკრაინელ ხალხს კი თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. მოუთმენლად ველოდები ახალ პრეზიდენტთან თანამშრომლობას და ჩვენს ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას“,** — წერს სალომე ზურაბიშვილი მიკრობლოგ „ტვიტერზე“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი კი წერს: **„ვულოცავ ახლად არჩეულ პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის. საქართველო უკრაინის მშვიდობიანი და დემოკრატიული გადაწყვეტილების გვერდით დგას“.**



5

შემოტრიალდით კულტურისკენ!

## ვახტანგ დავითაია:

# რატომ გაანნა სილა „ოცნებას“ საზოგადოების ერთმა ნაწილმა

7

## შოთა ჩხეიძე:

# კასტრირებული საარსებო მინიმუმი

# აშშ-ის სამხედრო ხომალდი ბათუმის ნავსადგურში

ბათუმის ნავსადგურის მეათე ნავმისადგომზე აშშ-ის სამხედრო ხომალდი **USS Ross (DDG 71)** შემოვიდა.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს ხომალდის პირველი ვიზიტია საქართველოში და იგი ემსახურება აშშ-ისა და საქართველოს შორის თანამშრომლობის განმტკიცებას რეგიონული მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობით.

**USS Ross (DDG 71)** არის **Arleigh Burke**-ს კლასის მართვადი სარაკეტო გამანადგურებელი. ხომალდს აქვს ტექნიკური მონაცემები, მოიგერიოს წყალქვეშა ნავები და ბალისტიკური რაკეტები. **USS Ross**-ის ვიზიტი კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს ამერიკის შეერთებული შტატების ერთგულებას ნატოს მოკავშირეების მიმართ, პარტნიორებთან კავშირის გაძლიერებითა და რეგიონში უსაფრთხოების ხელშეწყობით.

**USS Ross**-ის ვიზიტის ფარგლებში ამერიკელი მეზღვაურები მოინახულებენ ისტორიულ ადგილებს და გააღრმავებენ პარტნიორობას ქართველ კოლეგებთან. ისინი გამართავენ ამხანაგურ საფეხბურთო მატჩს საქართველოს სანაპირო დაცვის თანამშრომლებთან, საკალათბურთო მატჩს ბათუმის საზღვაო აკადემიის სტუდენტებთან და შეხვდებიან ახალგაზრდებს ბათუმის ამერიკულ კუთხეში.



„შავი ზღვის რეგიონში ჩვენი მოკავშირეები ევროპაში უსაფრთხოების შენარჩუნებაში კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ“ — განაცხადა ხომალდის მეთაურმა კაპიტანმა **Dave Coles**-მა, „ეკიპაჟი და მე მოუთმენლად ველით დინამიკურ პირობებში სამხედრო თავსებადობის გაუმჯობესებას და ამ რეგიონის მდიდარი ისტორიისა და კულტურის გაცნობას.“

ხომალდი **USS Ross** წარმოადგენს ესპანეთის როტის ნაწილს და აშშ-ის მეექვსე ფლოტის ოპერაციების სამოქმედო არეალში მონაწილეობას იღებს მრავალმხრივ მისიებში, ხელს უწყობს რა რეგიონის საზღვაო უსაფრთხოების დაცვასა და ნატოს ოპერაციებისა და მისიების მხარდაჭერას შავი ზღვის რეგიონში. აშშ-ის საზღვაო ძალების ხომალდები ხშირად ოპერირებენ შავ ზღვაში მონტროს კონვენციისა და საერთაშორისო კანონების შესაბამისად.

**USS Ross**-ის მეთაურია კაპიტანი **David Coles**. ხომალდის ზომებია: სიგრძე — 154 მეტრი, სიგანე — 20 მეტრი, წყალწყვა — 9.4 მეტრი.

# სალომე ზურაბიშვილი ტელეკომპანია „სიბიესს“ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისკენ მოუწოდებს

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ამერიკულ ტელეკომპანია „სიბიესს“ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისკენ მოუწოდებს და მოითხოვს, დააკორექტირონ სერიალის (საზღვაო პოლიცია: ახალი ორლეანი) ერთ-ერთი ეპიზოდი, სადაც, ზურაბიშვილის თქმით, ე.წ. სამხრეთ ოსეთი რუსეთის პროვინციად არის მოხსენიებული.

**„სერიალის მომდევნო ეპიზოდში „სამხრეთ ოსეთი“ მოხსენიებულია, როგორც „რუსეთის პროვინცია“. სცენარის ეს შეცდომა დიდი უპასუხისმგებლობაა და ჩვენ მოვუწოდებთ ტელეკომპანია „სიბიესს (CBS) და სერიალის სცენარისტებს, პატივისცემით მოეკიდონ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და შეიტანონ ცვლილებები სცენარში“,** — წერს სალომე ზურაბიშვილი მიკრობლოგ „ტვიტერში“.

# სუს-ის ანგარიში პარლამენტში: რუსეთის მიერ საქართველოში წარმოებული ჰიბრიდული ომი და...

**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სპეციალურ ანგარიშს დღეს პარლამენტს აცნობს — რუსეთის მიერ საქართველოში წარმოებული ჰიბრიდული ომი და დესტრუქციული პოლიტიკური ძალების ხელშეწყობა.**

სუს-ის ანგარიშში, რომლის ნაწილი საჯაროა, ხაზგასმულია, რომ ქვეყნის გამოწვევებს შორის არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და რუსეთის მხრიდან დესტრუქციული ქმედებები. ოპოზიცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს კონკრეტულ პრეტენზიებს უყენებს და ახსენებს, რომ ეს სამსახური ბოლო წლებია, სწორედ მმართველი გუნდის პოლიტიკური შეკვეთების შესრულებითაა დაკავებული და არა ქვეყნის უსაფრთხოებით.

**„ოპოზიციამ არ იცის, ჩვენ ვინ გამოვავლინეთ და ვინ არა, ჩვენ რა სამუშაოებს ვაწარმოებთ. ეს ანგარიში არის ღია და საჯარო. ამ ტიპის ინფორმაცია საჯარო ანგარიშში არ მოხვდებოდა. სუსს ყოველთვის ადანაშაულებენ, თუმცა ფაქტები არასდროს არ არის,“** — განაცხადა ლილუაშვილმა.

# დედამიწა ჩვენი სახლია და მას ზრუნვა და გაფრთხილება სჭირდება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა დედამიწის დღისადმი მიძღვნილი კონფერენციის „გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და მართვის გამოწვევები საქართველოში“ მონაწილეებს სიტყვით მიმართა.

**„მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ დედამიწა ჩვენი სახლია და მას ზრუნვა და გაფრთხილება სჭირდება. სამინისტრო აქტიურად მუშაობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და აღდგენის მიმართულებით“,** — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

მინისტრმა მადლობა გადაუხადა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (GIPA) კონფერენციის ორგანიზებისთვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ კვალიფიციური კადრები და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელების პირობაა. აღსანიშნავია, რომ საქართველოსთან ერთად, დედამიწის დღეს მსოფლიოს 150-ზე მეტი ქვეყანა აღნიშნავს.



# სადაც პოლიციელს ქვას ესვრიან, რეაგირება სავალდებულოა!..

**სადაც პოლიციელს ქვას ესვრიან, იქ რეაგირება არის სავალდებულო და ეს პროცესი გაგრძელდება, ყველას მოეთხოვება პასუხი სამართლებრივ ჩარჩოებში,—** აცხადებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი პანკისის ხეობაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

**„არცერთ პოლიციელს არა აქვს სურვილი, რომ ძალა გამოიყენოს მოსახლეობის მიმართ. ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია ის შეფასებები, რომელიც პოლიტიკური მოტივებით ხელისუფლებას ადანაშაულებს მაშინ, როცა პოლიციელისთვის ნასროლი ქვა არის სახელმწიფოსთვის ნასროლი ქვა. სამწუხაროდ, მოვისმინე ანტისახელმწიფოებრივი განცხადებები, ამიტომ ეს არის კომპლექსური საკითხი, სადაც პოლიციელს ქვას ესვრიან, იქ რეაგირება არის სავალდებულო და ეს პროცესი გაგრძელდება, ყველას მოეთხოვება პასუხი სამართლებრივ ჩარჩოებში“,** — აცხადებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი.

პანკისის ხეობაში ვითარება 21 აპრილს, დილით დაიძაბა, მას შემდეგ, რაც ადგილზე ჰესის მშენებლობა დაიწყო, რასაც მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხეობაში სპეციალური დანიშნულების რაზმი შეიყვანა. ადგილობრივები და სპეცრაზმელები ერთმანეთს რამდენჯერმე დაუპირისპირდნენ.

სამართალდამცავებმა მოსახლეობის წინააღმდეგ რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს, მოსახლეობა კი მათ ქვებს ესროდა. ადგილობრივებმა პოლიციის 2 მანქანა და ის ტრაქტორი დაწვეს, რომელიც ჰესის მშენებლობაზე მუშაობდა.

შეტაკებების დროს დაშავდა 55 ადამიანი. მათ შორის, 38 პოლიციელი და 17 მოქალაქე. 23 პოლიციელი თელავის საავადმყოფოებში ამ დრომდე რჩება. ვითარება მას შემდეგ განიმუხტა, რაც ხეობაში შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია ჩავიდა. გახარია ხეობის უხუცესებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. მინისტრმა განაცხადა, რომ ჰესი მხოლოდ მაშინ აშენდება, როცა მოსახლეობის 90 პროცენტი თანახმა იქნება.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ დაშავებული პოლიციის თანამშრომლები მოინახულა და მათ ჯანმრთელობის მდგომარეობას ადგილზე გაეცნო. გახარიამ განაცხადა, რომ თითოეული ადამიანი იდენტიფიცირებული იქნება და თითოეული ადამიანი, რომელმაც გაბედა პოლიციელზე თავდასხმა, შესაბამისად დაისჯება.










# პანკისში ჰესის მშენებელი კომპანიის ხელმძღვანელის განცხადება

**კომპანიის ხელმძღვანელი, რომელიც პანკისის ხეობაში ჰესს აშენებს, ვითარების პროვოცირებაში არასამთავრობო ორგანიზაციებს ადანაშაულებს.** ლაშა იორდანაშვილის განცხადებით, ჰესის მშენებლობაზე მოსახლეობა ინფორმირებული იყო და მათ პრეტენზია არ ჰქონდათ, სიტუაცია კი არასამთავრობო ორგანიზაციებმა შემოატრიალეს.

**— ჩვენ, როდესაც ამ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დავიწყეთ, დავაანონსეთ, საჯარო განხილვები ჩავატარეთ დაახლოებით წელიწადნახევრის წინ, თვეებით გრძელდებოდა მილსადენის შეტანა და არავის პროტესტი არ გამოუთქვამს ამის წინააღმდეგ, ჩვეულებრივად მიდიოდა, იმიტომ, რომ იცოდა ადგილობრივმა მოსახლეობამ, ჩვენ ორი ჰიდროელექტროსადგური გვაქვს აშენებული... ამის შემდეგ ჩაერთვნენ რაღაც ძალები, ჩვენი ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებმაც სიტუაცია ისე შემოატრიალეს,რომ განცხადებები იყო შემზარავი, თითქმის არავინ ამბობდა, რომ მოსახლეობას რაიმე პრობლემა ექმნება, არა — ჩვენი გადასახლება, ჩვენი ამოწყვეტა უნდათო! ეს არის ყველაზე ყურადსაღები და ყველაზე საშიში,რაც მე გუშინ შევამჩნიე,** — განაცხადა სამშენებლო კომპანია შპს „ფერის“ დირექტორმა ლაშა იორდანაშვილმა.

# ენერგეტიკოსებმა საქართველოში ჰესების მშენებლობის აუცილებლობაზე იმსჯელეს

**„საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორმა გიორგი ჩიქოვანმა მონაწილეობა მიიღო „საქართველოს განახლებადი ენერგიების განვითარების ასოციაცია“ (GREDA)ორგანიზებით გამართულ მრგვალ მაგიდაში. ღონისძიება პანკისის ხეობაში, სოფელ ბირკიანში 21აპრილს განვითარებულ მოვლენებს მიეძღვნა და მას ასოციაციის წევრების, ენერგეტიკის დარგის ექსპერტების და ენერგოსექტორში მოქმედი კომპანიების წარმომადგენლების გარდა, ინვესტორი კომპანია „ფერი“-ს აღმასრულებელი დირექტორიც დაესწრო.**

როგორც გიორგი ჩიქოვანმა აღნიშნა, ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებასა და ენერგოდამოუკიდებლობაზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს, თუ რა ხდებოდა საქართველოში უახლოეს წარსულში, როდესაც ის სხვა ქვეყნის ენერგორესურსზე იყო დამოკიდებული. მისი აზრით, მოსახლეობასთან აქტიურად მიდის გარე ძალების მუშაობა, რათა ჰესები არ აშენდეს. მან კიდევ ერთხელ განმარტა, რომ 5-მეგავატიანი ჰესი აბსოლუტურად უსაფრთხოა გარემოსა და მოსახლეობისთვის და ადგილობრივებს ინვესტორ კომპანიასთან კონსტრუქციული დიალოგისკენ მოუწოდა. შეხვედრის მონაწილეთა პოზიცია პანკისის ხეობაში ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ერთსულოვანი იყო — ენერგოდამოუკიდებლობა საქართველოს განვითარების, პროგრესის ტოლფასია, განსაკუთრებით ტურიზმის სექტორის სწრაფი ზრდის ფონზე, როცა ენერგომოხმარება რეგიონებში, განსაკუთრებით ზაფხულის სეზონზე მატულობს.



# მშიერი აფთრების ზეიმი

**54 წლის ვარ და ჩათლახებისა და უნამუსოების მეტი რა მინახავს. ზოგი ინტრიგანი, ზოგი „ბარიგა“, ზოგი მართლა სულით დამპალი, მაგრამ ასეთი დაცემა, სხვისი მონაყოლიც არ გამიგია.**

— კაცს ედავებოდე, სამების ტაძრის მოხატვას იმიტომ აპირებს, ზუგდიდის მერის არჩევნებში სანდრას დასამარცხებლად მეტი გზა არ დარჩაო!..

წარმოგიდგენიათ? სანდრა რულოვსის ზუგდიდის მერობა იმდენად მაღალ ნიშნულზე ყოფილა, რომ ბიძინა ივანიშვილი მზად არის ხალხის მოსასყიდად სამების ტაძარი მოახატვინოს.

ეს რომ ვინმეს სახინკლეში ეთქვა, სიცილით მოვკვდებოდი და მერე ის მთქმელი შემეცოდებოდა, მაგრამ „მთავარი არხი“ ამ სიროზას რამდენიმე დღე „მოშნად“ რომ ატრიალებს და ცდილობს, ვიღაცებს ტვინი გამოურეცხოს, **უკვე სულიერი სიდამპლეა**.

არ ვიცი, ამის თქმას აზრი აქვს თუ არა, მაგრამ იმათ, ვისაც ამისი სჯერა, ან დაჯერებას აპირებს, ვეტყვი:

1. არჩევნები არის 19 მაისს. თქვენ ტაძრის მოხატვა „ზაბორის“ შეღებვა ხომ არ გგონიათ? სანამ პირველი ხაზი გაევლება, უამრავი სამუშაოა ჩასატარებელი მართლმადიდებლური კანონების გათვალისწინებიდან დაწყებული, მხატვრების შერჩევით დამთავრებული. ხატების განაწილება და უამრავი რამ, რასაც საკმაოდ დიდი მსჯელობა სჭირდება, რაც დროში, სავარაუდოდ, რამდენიმე თვეს გასტანს.

2. სამების ტაძარზეა საუბარი. იმ სამების ტაძარზე, რომელიც საქართველოს თავზე დატეხილი ათასი უბედურების დროს, ჩვენი დღევანდელობის სიამაყედ იქცა. იმ სამების ტაძარზე, რომელიც საუკუნეები მყარად იდგება თქვენნაირებისგან ჩვენი და ჩვენი შთამომავლობის დასაცავად.

3. ვთქვათ, ათეისტები ხართ, ვთქვათ, რაღაც კონფესიებს ეკუთვნით, სხვა სექსუალური ორიენტაცია გაქვთ, ან ბოლო-ბოლო სხვა, პოლიტიკურ პლატფორმაზე დგახართ, მაგრამ რა ღვარძლით ხართ სავსე, რომ ელემენტარული ლოგიკა წაგერთვათ? რა გასწავლეს ამ „წმინდა მიხეილის კლასში“ ისეთი, რომ საქართველოს მოსახლეობა გამოდებილებული და გამოფიტული გგონიათ?

არა რა, სულის ასეთ დეგრადაციას, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

ამ საკითხს საგაზეთო სტატიაში ნამდვილად არ გამოვიტანდი, მაგრამ გასულ კვირას იმდენი საზიზღრობა ვნახე „რუსთავი-2“-ის ეთერში, რომ დაგროვდა და მათი ნამდვილი სახის სრული პორტრეტის შესაქმნელად, ყველა ერთად მოვაგროვე.

არც იმ ე. წ. „რეპორტაჟის“ განხილვას ვაპირებდი, რომელსაც „რუსთაველი“ ვინმე ემა გოგოხია გარდაცვლილი ადამიანის ჭირისუფლებთან „აკეთებდა“ და არ გამოუვიდა.

არ ვაპირებდი იმიტომ, რომ „იმედმა“ სრულად აჩვენა ამ არსების და მისი ბატონების ნამდვილი სახე და დარწმუნებული ვარ, რომ „იმედის“ ამ სიუჟეტს ძალიან ბევრი ნახავდა. არ ვაპირებდი იმიტომაც, რომ ხალხმა კარგი პასუხი გასცა მოძალადე „ჟურნალისტს“, მაგრამ „ნოდარიკოს“ შაბათის კურიერში სიბინძურისა და სიბილწის კასკადის ნახვის დროს, ველარ მოვითმინე.

არ დავიწყებ იმ სიუჟეტის განხილვას. არც გოგოხიას იმ დადებილებულ გამომეტყველებაზე ვიტყვი რამეს, რომელიც იმ მომენტში გაუჩნდა, როცა მიხვდა, რომ რაც უნდოდა, არ გამოსდიოდა.

არაფერს ვიტყვი, რადგანაც მათი მისამართით მორალზე, გარდაცვლილისა და ჭირისუფლის პატივისცემაზე საუბარს არანაირი აზრი არა აქვს.

უბრალოდ, მინდა წარმოიდგინოთ, თუ როგორი ალტაცებით მიდიოდა (და მიდიან) ასეთ „დავალებებზე“, მინდა წარმოიდგინოთ, თუ როგორ უნათებთ თვალები მშიერი აფთრებივით და როგორ ილოკავს სისხლმოწყურებულ ხახას და ლაშებს დავალების მიმცემი.

მეტი არაფერი.

უბრალოდ წარმოიდგინეთ.

დაბოლოს, ეს ე.წ. მოსამზადებელი სამუშაოები პანკისით დაგვირგვინდა.

სამეგრელო არ გამოუვიდათ და პანკისს აგორებენ — ეს იყო პირველი, რაც გავიფიქრე.

განვითარებულმა მოვლენებმა და შემდგომ გაკეთებულმა კომენტარებმა, რომელიც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, ზუსტად გვაჩვენა ის, რომ პანკისის ხეობაში მომხდარი დაპირისპირება იყო კარგად დაგეგმილი პროვოკაციის შედეგი.

ვერცერთი, ვიმეორებ ჰესის აშენების ვერცერთი მოწინააღმდეგე, ვერ ასაბუთებდა იმას, თუ რატომ არ უნდა აშენდეს მცირე ჰესი, რომელსაც კაშხალიც არ ექნება?

იყო გაუგებარი მუქარები, ზოგადი ფრაზები და ეგზალტირებული მოსახლეობა, რომელიც საკმაოდ კარგი დამუშავების შემდეგ გამოვიდა ე.წ. „აქციაზე“.

გაგიკვირდებათ და სოციალურ ქსელში საკმაოდ ნორმალურად მოაზროვნე ქართველებისგან, რომლებსაც, რბილად რომ ვთქვა, დღევანდელი ხელისუფლება არ მოსწონს (ცხადია, ნაცებს დასანახად ვერ იტანენ), გამოთქვამდნენ ყოვლად არაადეკვატურ მოსაზრებებს, რომლის ძირითადი არსი „სპეცრაზმის შეყვანა და ამით მოსახლეობის გაღიზიანება“ იყო.

უკაცრავად, მაგრამ რას ნიშნავს „სპეცრაზმის შეყვანით ადგილობრივი მოსახლეობის გაღიზიანება“?

სახელმწიფო სად შეიყვანს პოლიციას, თუ განსაკუთრებული დანიშნულების რაზმებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს საქმეა. ცხადია, ჯარის შეყვანას ეს არ ეხება. აქ სხვა კრიტერიუმები მოქმედებს.

როგორ გგონიათ, ექნებოდა თუ არა პოლიციას ინფორმაცია მოსალოდნელი პროვოკაციის შესახებ?

ექნებოდა თუ არა ინფორმაცია პროვოკატორების აქტივობების შესახებ?

და კიდევ უამრავი რამ, რაც საჯარო ინფორმაცია არ არის.

ცხადია, ექნებოდა.

და რა უნდა ექნა ამ დროს პოლიციის შესაბამის განყოფილებას? პროცესი მიეშვა თავის ნებაზე და დალოდებოდა, თუ რა უბედურებას დააწევდნენ იმ ტრაქტორისტს და მუშებს, მოლოტოვის კოქტეილიანი ხალხი? (ახლა არ მითხრათ, მოლოტოვის კოქტეილი არ ჰქონდათ, მარტო ქვებს ისროდნენო).

მთელ მსოფლიოში ორად ორი ბიზნეს-ორგანიზაცია ვიცი, ვისაც საკუთარი შეიარაღებული ფორმირება ჰყავს: გაზპრომი და სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ გმირის შავლეგო მადლიანის ფირმა.

და რა ქნა პოლიციამ? შევიდა თუ არა, მოსახლეობას მაშინვე ცეცხლი გაუხსნა?

რა ქნა და ყველანაირად ეცადა, მშვიდობიანად მოეგვარებინა სიტუაცია, მაგრამ პროვოკატორებმა მიზანს მაინც მიაღწიეს.

ნეტა როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ისევ დორბლიანი, შეშლილი მიშას დრო რომ ყოფილიყო?

სავარაუდოდ, 10 მოკლული და 100 დაპატიმრებული „პუტინის აგენტი“ გვეყოლებოდა. გახარიამ იმუშავა ისე, როგორც ნამდვილ მინისტრს შეეფერება, მაგრამ ერთი „იაღლიში“ მაინც მოუვიდა: არ უნდა გაეცა პასუხი დემაგოგი გაფრინდაშვილისთვის და როგორც სხვა ჟურნალისტები დაიბარა შეხვედრის შემდეგ ბრიფინგზე, ისე უნდა დაებარებინა ისიც.

აი, ასეთი გამორჩეულად მოკრძალებული დამოკიდებულებაა ყველაფრის სათავე.

თავხედს, თაღლითს, დემაგოგს სრული იგნორი უნდა გაუკეთო და გეგმა ჩაეშლება.

ისე, სხვა ჟურნალისტების უნიათობა მართლა გამიკვირდა — ჩმორებივით იდგნენ და მორჩილად უსმენდნენ გაფრინდაშვილის პარპაშს. არცერთს არ ეყო თავმოყვარეობა, რომ თავისი ადგილი მიეჩინათ იმ გათავხედებული არსებისთვის.

„დათა თუთაშხიაში“ არის ერთი მომენტი, როდესაც დათა დახლთან არ უშვებს გათავხედებულ ქალბატონს, რომელიც ურიგოდ ცდილობს გაძრომას.

დარწმუნებული ვარ, რომ იმ ჟურნალისტებს არამც თუ „დათა თუთაშხია“ არა აქვთ წაკითხული, არამედ გულის კუნჭულში „რუსთავი-2“-ში გადასვლა სურთ და ამიტომაც უთმობენ ყველაფერს ამ ე.წ. „მთავარი არხის“ აფთრებს.

წარმომიდგენია, რა შრომა და ჯაფა ჰქონდა აფთრების სხვა ნაირსახეობას, ანუ ე.წ „გავლენიან არასამთავრობოებს“.

დარწმუნებული ვარ, რომ ქართული სახელმწიფოს ჰომოფობიურობაზე, ანტიდემოკრატიულობაზე და სხვა მრავალ სისულელეზე დაწერილი დანოსებით უკვე დაბომბილი იქნება საერთაშორისო ორგანიზაციები, რის შედეგებსაც სულ მალე სხვადასხვა დასკვნებში ვნახავთ. გამოუსწორებელ არამზადა გიორგი კანდელაკზე აღარაფერს ვიტყვი.

რაც შეეხება მოსახლეობას, პირდაპირ ვიტყვი, რომ განათლების დონეა მისახედი. პირველ რიგში განათლების დონე და ახალი ფილმების გადაღება კი არა, ჯერ სიკო დოლიძის ფილმი „უკანასკნელი ჯვაროსნები“, სადაც რძის სეპარატორის წინააღმდეგ გალაშქრებაა ასახული, უნდა აჩვენონ, ხოლო ჰესებზე მერე ელაპარაკონ.

რა მაგის პასუხია და, თუ ვინმეს ჰგონია, აბასთუმანში „რუსთავი-2“-ის ატეხილი აჟიოტაჟი ნაკლები სიბინძურეა, ძალიან ცდება.




**არავის ვამუნათებ, რადგანაც ვიცი, რომ, სამწუხაროდ, არაფერი შეიცვლება. ამიტომ წერილს ხელისუფლების მიმართ მცირე შეგონებით დავამთავრებ:**

**— არ მოხდეს ბოკერია-სააკაშვილის რეჟიმის შეფასება, არ გაიწმინდოს სახელმწიფო ინსტიტუტები პროვოკატორებისა და უსაქმურებისგან, არ აღიძრას სისხლს სამართლის საქმე გვარამიას მიერ მთვარისა ნავერიანის ცემის ფაქტზე, ყველა კომისიაში შევიდნენ გავლენიანი არასამთავრობოები (ახლა ნახეთ საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები), უმრავლესობის წევრებმა მეტი სულელური ოთხლარიანი განცხადებები აკეთონ და ქვეყანა სულ ლიწინ-ლიწინით აშენდება.**

**აბა, თქვენ იცით. მშიერი აფთრების გამოკვეთაში ხელი მოგემართოთ!.**



**გია გაბრიჭიძე**

# აგრარული ქვეყანა ვერც ერთ პროდუქტს თავის სამყოფად ვერ აწარმოებს!

„საქსტატმა“ გამოაქვეყნა 2018 წლის სოფლის მეურნეობაში მემცენარეობის წინასწარი სტატისტიკა, რომლის თანახმადაც, გასულ წელს ხორბლის წარმოება 8,5 პროცენტით აღემატებოდა წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. ქერის წარმოება 33,3%-ით გაიზარდა, სიმინდისა კი – 33,5%-ით. 2017 წელთან შედარებით, 21,1%-ითაა გაზრდილი კარტოფილის წარმოება. ამასთან, 2018 წლის განმავლობაში მოყვანილი ბოსტნეული 9,8%-ით აღემატებოდა წინა წლისას.





**„სანამ არ დავითვლით მიწას და არ დავითვლით ცხოველს, იქამდე რაზე უნდა ვილაპარაკოთ?**

ორგანიზაცია „მომავლის ფერმერის“ თავმჯდომარე **რუსუდან გიგაშვილი** ამბობს, რომ, სამწუხაროდ, „საქსტატი“ თავისი მონაცემებით მიახლოებულ სურათს ასახავს, რეალური სურათი კი სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ არ გვაქვს. რუსუდან გიგაშვილი მემცენარეობის დარგში გამოყოფს ხორბლით თვითუზრუნველყოფის დაბალ მაჩვენებელს:

**„ის, მხოლოდ რომ 15%-იანი თვითუზრუნველყოფა გვაქვს ხორბალში, არის კატასტროფა!“.**

„მომავლის ფერმერის“ ხელმძღვანელი ამ ეტაპზე არსებითად არ თვლის მსჯელობას იმაზე – არის თუ არა საქართველო აგრარული ქვეყანა? – არამედ, მწვავე საკითხია ის, რამდენად თვითკმარია ქვეყანა სოფლის მეურნეობის პროდუქციიით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. პასუხი მარტივია – არ არის! ამასთან მნიშვნელოვანი მოცემულობაა, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული:

**“ამ ეტაპზე არ ვართ თვითკმარი, რადგან ვერ ვქმნით, მაგრამ რაღაც ეტაპზე შეიძლება ვიყოთ, თუ დავეხმარებით ტექნოლოგიურად და ცოდნით ფერმერებს. ყველაზე დიდი პრობლემა არის ცოდნის დეფიციტი. ჩვენი ორგანიზაცია დღეში საშუალოდ 100 ადამიანს ემსახურება კონსულტაციით. ცოდნაზე მოთხოვნა არის“.**

„დილის საუბრების“ სტუმრის აზრით, ფერმერებისთვის ცოდნის გადაცემის მცირე რესურსი არ კმარა:

**„ეს უნდა მოხდეს დიდი ინტენსივობით, კარდაკარის პრინციპით. ეს საკითხი არის ფუნდამენტი და ჰაერშია გამოკიდებული. როგორი სუბსიდირებაც უნდა მოვახდინოთ, თუ მას წინ არ გაუძღვა ცოდნა, შედეგს არ მოგვცემს“.**

რუსუდან გიგაშვილი იმასაც შენიშნავს, რომ შეზღუდული რესურსის მიუხედავად, ფერმერთა ინფორმირებულობა გარკვეულწილად იზრდება. ერთი მხრივ, საჭიროა ინფორმაციის გასაგები ენით მიწოდება და მეორე მხრივ, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ინტერნეტთან წვდომა მათ უმრავლესობას არა აქვს და უნდა გამოინახოს კომუნიკაციის სხვა გზები ინტენსიური ინფორმირებისთვის. ის „მომავლის ფერმერის“ მაგალითზე ლაპარაკობს და ყვება, რომ თვეში 35 მოკლე ტექსტურ შეტყობინებას უგზავნიან ფერმერებს: იქნება ეს პირუტყვის ჭიაზე პროფილაქტიკის, მოსალოდნელი გვალვისა თუ რაიმე ტექნოლოგიურ სიახლეზე მისათითებლად:

**„ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ტექნოლოგიები. თითზე ჩამოსათვლელია საქართველოში მეწარმეები, ვინც სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიებით მუშაობს. არ არის ცოდნა, არ არის ხელმისაწვდომი ფინანსები. მაგალითად, კენკროვან კულტურებში სარწყავი სისტემით უზრუნველყოფა ვინც მოახერხა, 5-ჯერ და 10-ჯერ მეტი მოსავალი მიიღო“.**

რუსუდან გიგაშვილი ყურადღებას ამახვილებს ქვეყნის შიგნით სოფლის მეურნეობის პროდუქციის განვითარების ხელშეწყობის საკითხზე. ის თვლის, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული, თანმიმდევრული პოლიტიკა:

**„ძალიან დიდი წყვეტა გვაქვს სიტყვასა და საქმეს შორის. ვაკეთებთ ფრაგმენტულად, როცა გვინდა განვავითაროთ შიდა წარმოება და ვერ ვქმნით ადგილობრივი ბაზრის განვითარების მექანიზმებს. არ დაადგა საშველი ანტიდემპინგურ კანონმდებლობას. ერქვას ბაზრის დაცვითი მექანიზმები, ამას ევროკავშირიც გვთხოვს. კანონპროექტი თაროზეა შემოდებული. ყველა ნორმალური ქვეყანა აამოქმედებს დაცვის მექანიზმებს და კონკურენტულ ფასს დაუქვემდებარებს შემოსულ პროდუქტს. დღეს თურქული პროდუქტი შემოდის არაჯანსაღ პირობებში. შარშან გაზაფხულზე ვერ შემოვიდა თურქეთიდან კარტოფილი, რადგან იქ გავრცელდა „კარტოფილის კიბო“. ამით კარტოფილის შემოსავლის კუთხით ამოისუნთქეს ადგილობრივმა ფერმერებმა. ასე არ უნდა იყოს. ღვთის ანაბარა არ უნდა იყოს ფერმერი დატოვებული“.**

სოფლის მეურნეობის სპეციალისტის აზრით, მნიშვნელოვანია სტაბილურად არსებობდეს ადგილობრივ ბაზარზე გამიზნული სახელმწიფო დაკვეთები:

**„ჯარის და ბაღების მომარაგების მიბმა ადგილობრივ წარმოებაზე: მიწოდების სტაბილურობა დადგება, როცა მოთხოვნა იქნება სტაბილური“.**

არათანმიმდევრული მიდგომის მაგალითად რუსუდან გიგაშვილს მოჰყავს ხორბლის მაგალითიც:

**„საწარმოებს არ უღირთ ადგილობრივი ხორბლის შეძენა, რადგან: პირველადი წარმოება გათავისუფლებულია დღგ-სგან, მაგრამ გადამუშავება დღგ-თი იბეგრება. ამიტომ, თუ მე ვაწარმოებ პურფუნთუშეულს, ვარ წისქვილკომბინატი, ვარ მეფრინველეობის ფერმა და მჭირდება შევიძინო მარცვლეული, არაფრით გამოვიყენებ ადგილობრივ წარმოებას, რადგან ეს ჩემს ბიზნესს ტვირთად დააწვება. შემოტანილს გამოვიყენებ, რადგან მე დღგ-თი ვიბეგრები, ისიც დღგ-თიაა დაბეგრილი და ჩათვლის პრინციპით მე ამას გავიმარტივებ“.**

რუსუდან გიგაშვილი ლაპარაკობს პროფესიონალიზმის დეფიციტზე როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. წუხს, რომ სოფლის მეურნეობის სფეროში მიღებული არაერთი გადაწყვეტილება არ ეფუძნება წინასწარ გამოკვლევას და რისკების შეფასებას:

**„1 აპრილს შევიდა ცვლილება ბიზნესისთვის, რომელიც სათესლე-სანერგე მასალის, პესტიციდების, სასუქების რეალიზაციას ეხება. ცვლილების თანახმად, მაღაზიაში უნდა გაიმიჯნოს სათესლე-სანერგე მასალისა და პესტიციდებისა და სასუქის რეალიზაცია, მაგრამ ამის დაკმაყოფილება ვერ მოხდება. 1%-საც ვერ ნახავთ, ვისაც ამის განხორციელება შეუძლია. მხოლოდ ერთი შენობა აქვთ და ეუბნებიან ერთ შენობაში ამ ყველაფრის რეალიზაცია არ შეიძლებაო. დაიკეტებიან“.**

„მომავლის ფერმერის“ ხელმძღვანელი უმწვავეს საკითხად თვლის მიწის არასრულფასოვან აღრიცხვიანობას:

**„არ გაგვაჩნია მიწის ერთიანი კადასტრი: რა არის დამუშავებული? რა – დაუმუშავებელი? რა არის სახელმწიფოს მფლობელობაში? რა – კერძო სექტორის? სანამ არ დავითვლით მიწას და არ დავითვლით ცხოველს, იქამდე რაზე უნდა ვილაპარაკოთ?“.**

რაც შეეხება ევროკავშირთან შეთანხმებებით აღებულ ვალდებულებებს, რუსუდან გიგაშვილი შენიშნავს, რომ „ხალხს აშინებს ეს სტანდარტები“, თუმცა, საკითხი არ უნდა იხილებოდეს, როგორც ევროკავშირის მოთხოვნა, არამედ როგორც თავად საქართველოს ინტერესი:

**„დავანებოთ ევროკავშირს თავი. ფიქრობთ იმაზე, ჩვენს შვილებს რას ვაჭმევთ?!“.**

საუბრის დასასრულს სტუმარი ყურადღებას ამახვილებს ნედლი რძის წარმოების ხელშეწყობის მნიშვნელობაზე:

„ნედლი რძე იკლებს ქვეყანაში. ძალიან კაბალურ პირობებში არიან ფხვნილით მწარმოებლებთან. ვინც სტანდარტები ვერ დააკმაყოფილა, მაინც აწარმოებს და ასაღებს. რძის პროდუქტების დიდი წილი არის გაურკვეველი წარმოშობის. რძის ფხვნილი მომაკვდინებელი არ არის, მაგრამ ყველი რომ აწარმოო, უნდა დაამატო ტრანსცხიმები და არ არის კარგი.

**ნედლი რძის მწარმოებლებმა მოითხოვეს სრული პროდუქციის დღგ-სგან გათავისუფლება. პრემიერმა დაუჭირა მხარი ამ ინიციატივას, შევიდა პარლამენტში და იქ დაიბლოკა ამ რამდენიმე დღის წინათ! გამოდის, რომ სადღაც ვიღაც იმპორტიორები უხეშად ერევიან. გეუბნება ქართველი მეწარმე: დამეხმარე – გაუმჯობესდება ჩვენი თვითუზრუნველყოფა ნედლი რძით, შემცირდება ტრანსცხიმების მოხმარება და ამ დროს მავანი ამაში უხეშად ერევა. ვფიქრობ, მოსახლეობამ ხმა უნდა ამოიღოს. ამაზე გადის ჩვენი ჯანმრთელობა. ამ დღეებში შეიკრიბებიან ნედლი რძის მწარმოებლები და განხილავენ ამ პროლემას“.**

**ნინო გელაშვილი**

# აგრარულ ბაზრებში საშინელი სიძვირეა – ქართული პროდუქტი დახლებიდან გაქრა

**საქართველოში ძვირი გაზაფხული დადგა. როგორც მოსალოდნელი იყო, ადგილობრივი პროდუქტი ვადაზე ადრე ამოიწურა და მთელი ქვეყანა იმპორტირებული პროდუქციის ამარა დარჩა. შესაბამისად, წინასადღესასწაულო პერიოდში სურსათზე ფასმა პიკს მიაღწია. განსაკუთრებით მოიმატა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებამ. ასეთი მდგომარეობა მინიმუმ 1 თვე კიდევ გაგრძელდება.**

აგრარულ ბაზრებში გაზრდილია ხილ-ბოსტნეულის ფასი. ამ პერიოდისთვის არაადეკვატურად ძვირი ღირს კომბოსტო, სტაფილო, კარტოფილი, მწვანილი, ციტრუსი, სხვადასხვა სახის ფხალი თუ რძის ნაწარმი.

როგორც ბაზრის მიმომხილველები აცხადებენ, პროდუქტზე მაღალმა მოთხოვნამ, ექსპორტიორებსა და ადგილობრივ მწარმოებლებს ფასის 25%-მდე გაზრდის საშუალება მისცა, შედეგად, მაგალითად, 1 კგ ოხრახუშის ფასი 1 დოლარით გაიზარდა.

საქართველოში, გასულ კვირას, ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების ფასმა 12%-15%-ით მოიმატა და ახლა კომბოსტო 2,5 ლარი ღირს, კარტოფილი - 1,5 ლარი, ყვავილოვანი კომბოსტო – 3-4 ლარი, ხოლო სტაფილო – 2 ლარამდე. გაძვირებულია სხვადასხვა სახეობის ხილი და რძის ნაწარმიც.

რეგიონში მცხოვრები ფერმერები ამბობენ, რომ ოჯახში სამყოფი მოსავალიც არ შერჩათ და ისინიც შემოტანილი სურსათის ამარა დარჩნენ. ამის მიზეზად გლეხები წარმოების სიმცირეს ასახელებენ – ხალხმა ნათესები შეამცირა.



სპეციალისტების განცხადებით, საქართველო ძირითადად თურქული პროდუქციის გასაღების არეალია, რომელსაც მწირი ქართული პროდუქცია კონკურენციას ვერ უწევს აქტიურ სეზონზეც კი. პროფესორი **ანზორ მესხიშვილი** ადასტურებს, რომ ახლა მართლაც ძალიან რთული პერიოდია.

**„ერთია, რომ ადგილობრივი სურსათი აღარ არის, მაგრამ რაც გვაქვს, იმასაც, სიძვირის გამო, ხალხი ვერ ყიდულობს. ჩვენ თურქული პროდუქციის გამსაღებელი ქვეყანა ვართ და იმპორტირებული პროდუქციის იმედად უნდა ვიყოთ სეზონზეც, რაც გაუგონარია. როცა კარტოფილის ფასი 1,30 ლარს აჭარბებს და ხახვს 2 ლარზე ნაკლებად ვერ იყიდი, იქ უკვე ძალიან ცუდადაა საქმე.**

**ცხადია, ლარის კურსმაც განაპირობა ფასების ზრდა, მაგრამ ჩვენი პრობლემა წარმოების დეფიციტშია. სტრატეგიულ დარგებს უნდა მივხედოთ. კარგია, რომ მეღვინეობა ვითარდება, მაგრამ ეს ვერ გვიშველის, თუ სხვა ეროვნული პროდუქტი დახლებიდან გაქრება. დღეს სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვართ.**

**სოფელი დაიცალა, სახნავი მიწები გატყიანდა, ტყე-ბუჩქად იქცა, შრომისუნარიანი მოსახლეობა აღარ გვყავს და ეს არის ყველა უბედურების სათავე“,** – აღნიშნა მესხიშვილმა.

**ბექა დანელია**

## ვახტანგ დავითაია:

# რატომ გააწნა სილა „ოცნებას" საზოგადოების ერთმა ნაწილმა



ნომრის სტუმარია ცნობილი არქიტექტორი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ვახტანგ დავითაია

კორესპონდენტი: **ქვეყნის ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენა იყო საპრეზიდენტო არჩევნები, რომელმაც ჩვენი საზოგადოების მრავალი უარყოფითი მხარე გააშიშვლა. დიდი მოულოდნელობა იყო არჩევნების პირველი ტურის შედეგები. „ოცნებამ" აღიარა შეცდომები, დაგვპირდა ცვლილებებს. თქვენ წარმოადგენთ სახელოვნებო-ინტელექტუალურ სფეროს, საზოგადოების იმ ნაწილს, რომლისთვისაც უპირველესია ქვეყნის და არა პარტიულ-კლანური ინტერესები და ბიზნესი. თქვენი ხედვა, შეფასებები, პოზიცია, უფრო საყურადღებოა, ვინემ „პროფესიონალი" ექსპერტების, პოლიტოლოგების, პოლიტტექნოლოგების, რომლებმაც ჩამოაყალიბეს გარკვეული „შტამპი".**

— „შტამპი" ტელევიზიების და ბეჭდური პრესის ასევე ექსპერტების და პოლიტოლოგების ავადმყოფობაა. ტელევიზიაში და პრესის ფურცლებზე ერთი და იგივე სახეებია. გაშლი გაზეთს და იცი, ვინ ვისი რუპორია, ამიტომ სათაურის კითხვით კმაყოფილდები. თუმცა არიან მიუკერძოებელი პროფესიონალებიც, რომელთა ნააზრევს ინტერესით ელოდები. ასეთი სულ რამდენიმეა.

**— რატომ გააწნა სილა „ოცნებას" საზოგადოების ერთმა ნაწილმა?**

— ბევრი რამის გამო. სიღარიბისათვის, არაპროფესიონალიზმის, არაკომპეტენტურობის გამო და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, „ოცნებამ" დაკარგა კავშირი ადამიანებთან, თანამოაზრეებთანაც და თანამებრძოლეებთანაც კი. დღის წესრიგიდან მოიხსნა პირადი კონტაქტები, შეხვედრები, დიალოგი, მოსმენა, „თანამონაწილეობა". ჩვენ თავი მოგვაქვს სიტყვის თავისუფლების ინდექსის გაუმჯობესებით, მაგრამ სიტყვის თავისუფლებას, სიმართლის თქმას არავითარი აზრი არა აქვს, თუ მას ხელისუფლება არ უსმენს. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ყველაზე დახვეწილი ფორმაა არდანახვა, არშემჩნევა, წაყრუება, „წერე და იკითხე". „ოცნებამ" „წერე და იკითხეს" პრინციპი დახვეწა და უმაღლეს დონეზე აიყვანა. რად გინდა ღმერთი ურწმუნოთა ქვეყანაში? **სიტყვის რეალური თავისუფლება არის არა ის, რისი დაწერის უფლება გაქვს, არამედ ის, რა შედეგი აქვს ამ დაწერილს. ვეკითხები „ოცნების" ხელმძღვანელებს, შეიძლება ადამიანი, საზოგადოებისთვის არცთუ უცნობი, საშუალო რანგის თანამდებობის პირს,** „ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხზე" 10-15 წუთით მიღებას სთხოვდეს და მეოთხე თვეა, ეს შეხვედრა ვერ შედგეს? **განმეორებითმა შეხსენებამაც შედეგი არ გამოიღო.**

წლეულს, 15 იანვარს, თბილისის 41-მა საპატიო მოქალაქემ, ჩვენი საზოგადოების უთვალსაჩინოესმა ადამიანებმა, თბილისის მერს, ბატონ კახი კალაძეს ღია წერილით მიმართეს, დიდი მეფის, დავით აღმაშენებლის ძეგლის დიღმის სატრანსპორტო-ურბანული ქაოსიდან მის ძველ არეალში დაბრუნების თაობაზე. გავიდა სამი თვე. პასუხი არ არის! „თბილისის საპატიო მოქალაქე" დედაქალაქის უმაღლესი წოდებაა, რომელსაც, უპირველესად ყოვლისა, მერია უნდა უფრთხილდებოდეს. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში, საპირისპიროს ვხედავთ. პასუხის დროულად გაცემა, სხვა რომ არა, ეთიკის ელემენტალური ნორმაა, რომლითაც მოქალაქეები, ამომრჩევლები დასკვნებს აკეთებენ მთლიანად მერიის საქმიანობაზე — ადამიანები ზღვის ერთ წვეთში მთელ ზღვას ხედავენ. თბილისის საპატიო მოქალაქეები ელოდნენ, რომ ბატონი კალაძე 2-3 დღეში პასუხს გასცემდა. გულგრილობის მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

**— ეს მიმართვა ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. ჩვენც ველოდით ოპერატიულ გამოხმაურებას, მაგრამ...**

— ასეთი დამოკიდებულება დღეს არათუ გამონაკლისი, არამედ წესია. გაზეთებს, სამწუხაროდ, არავინ კითხულობს, თუ კითხულობს, პასუხს არავინ გაღირსებს... მსგავსი რამ არცერთ ნორმალურ ქვეყანაში არ ხდება.

ამ კონტექსტში ერთ მაგალითს გავიხსენებ. „ჩანაწერებში" ჩავიხედავ.

„22.VII.2003. **პრეზიდენტის კანცელარიაში დავტოვე წერილი ე. შევარდნაძისადმი. ვთხოვდი შეხვედრას 9 აპრილის მემორიალის, თამარ მეფის ძეგლის, რიყის, „დედაქალაქის კარიბჭის" და სხვა პროექტების გაცნობის მიზნით. ვიფიქრე, პრობლემებით დატვირთული ქვეყნის პრეზიდენტს ორი კვირა მაინც დასჭირდებოდა, გამონახოს დრო. არდადაგები დაიწყო. თბილისი დავტოვე.**

26.VII.2003. **ზარი კანცელარიიდან** — „ბატონმა ედუარდმა 29 ივლისს, საღამოს 5 საათზე დანიშნა თათბირი თქვენ წერილთან დაკავშირებით, აინტერესებს, ვისი მოწვევაა საჭირო". **— ვისაც თვითონ ჩათვლის საჭიროდ-მეთქი.**

შეხვედრა შედგა ზუსტად დანიშნულ დროს. დაცვის ბიჭებმა პლანშეტები აიტანეს მეთერთმეტე სართულზე და გამოფინეს. სხდომას ესწრებოდნენ: თბილისის მერი, ბ-ნი ივ. ზოდელავა, სახელმწიფო მინისტრის მოადილე, ბ-ნი თ. ისაკაძე, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვ. გოგოლაშვილი, კიდევ რამდენიმე, ჩემთვის უცნობი პირი — სამინისტროების წარმომადგენლები. პროექტების გაცნობამ და განხილვამ ორი საათი გასტანა.

მეოთხე დღეს მივიღე სხდომის დეტალური ოქმი, სადაც აღნიშნული იყო ყოველ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი და ვადები".

**ეს ფაქტი სრულებითაც არ იყო გამონაკლისი, არამედ თანამშრომლობის და თანამონაწილეობის წესი. ახლა ვიღაც-ვიღაცები ამ „გახსენებას" კომუნისტურ ნოსტალგიად ჩამითვლიან, რაც ნაკლებად მადარდებს.** მაგალითი დღევანდელ ხელმძღვანელებს დაფიქრების და განსჯის საბაბს ნამდვილად აძლევს.

**— ბატონო ვახტანგ, ბოლო წლებში, თქვენს უმთავრეს საქმედ, უნებლიეთ, იქცა დავით აღმაშენებლის ღირსების აღდგენა და იმ პრობლემის მოწესრიგება, რომ საქართველოს ჰქონდეს ერის ტრადიციების შესაფერი „გმირთა ხსოვნის მემორიალი". მემორიალი, სადაც შესაძლებელი იქნება საპატიო სტუმრების მიყვანა და ოფიციალური რიტუალების ღირსეულად ჩატარება, მემორიალი, სადაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ახალგაზრდული და ეროვნული აქციების გამართვა. ალბათ, ჩვენი ყოველი მოქალაქე სინდისის ქენჯნას განიცდის, როდესაც საპატიო სტუმარს, დიდი ქვეყნის პრეზიდენტს ქვის სტენდთან მიიყვანენ გმირთა მოედნის კუთხეში. არამხატვრულობასთან, შეუსაბამო ადგილთან ერთად, ის არ არის საერთო ეროვნული „ხსოვნის მემორიალი". ის საქართველოს ერთ-ერთი ტრაგედიის მემორიალია.**

— სრულიად გეთანხმებით, დავით აღმაშენებლის ძეგლის აბსურდულ „თავგადასავალს" საზოგადოება სხვადასხვა პუბლიკაციებით კარგად იცნობს, „გმირთა ხსოვნის მემორიალის", ასევე აბსურდულ, პერიპეტიებს შედარებით ნაკლებად. ეს საკითხიც შვიდ წელს ითვლის. 7 წელია არსებობს „გმირთა ხსოვნის მემორიალის" პროექტი (პერსონალური თაოსნობა). მას გაეცნო და მოიწონა დედაქალაქის საზოგადოებამ, პროექტი განიხილა მერიის არქიტექტურულმა საბჭომ. მან ერთსულოვნად კარგი შეფასება მისცა, რაც ოფიციალურადაა აღნუსხული. პროექტმა არაერთი საერთაშორისო პრემია დაიმსახურა, მიუხედავად ამისა, ის ვერ ეღირსა ვერც ერთი მთავრობის ყურადღებას.

დასკვნის სახით ვიტყვი, არც დავით აღმაშენებელს და არც „გმირთა ხსოვნის მემორიალს" 7 წლის მანძილზე არ აღმოაჩნდა „ერის კაცი". ამიტომაც ჩემი მცდელობა - შეხვედრები, მიმოწერები, პასუხები, პასუხის პასუხები და სხვა, მონუსხულ წრეზე ტრიალებს.

**— გააგრძელეთ „სილის გაწვნის" მიზეზების თქვენეული ხედვა...**

— რა დაგვანახა განმეორებითმა არჩევნებმა?

გაიმარჯვა არა „ოცნებამ", არამედ „ნაკლები ბოროტების" პრინციპმა.

ხალხმა უფრო ძლიერი სილა ნაცებს გააწნა, აგრესიის, ტყუილების, უტაქტობის გამო, და, რაც მთავარია, წარსულის გამო, რომელსაც ვერაფრით ვერ წაშლი. გვეშინოდეს წარსულის! მას ვერ შეცვლი. საარჩევნო კამპანიაში სააკაშვილის ჩართვამ გადამწყვეტი როლი ითამაშა. ნაცებს ჭკუა არ ეყოთ სიცრუის, ცილისწამების რიტორიკაში, შიგა და შიგ „გულწრფელობა" — „აღიარება" ჩაერთოთ. ისინი ყველაფერს, მათ შორის ამინდის კაპრიზებსაც ივანიშვილს, „ოცნებას" მიაწერენ, რის გამოც მათი ობიექტურობა, თუ კი ასეთი წამოსცდებათ, მაინც არაგულწრფელობად აღიქმება.

**კულტურა, არქიტექტურა ყოველთვის იყო ქართველი ერის იდენტურობის, რაობის, სახის ცნობადობის უმნიშვნელოვანესი ფენომენი. დღეს არათუ კულტურის სახელმწიფო პოლიტიკა არ არსებობს, არამედ არ არსებობს ელემენტარული თანადგომა, მორალური, მატერიალური. კულტურა, ძირითადად, კერძო სექტორის წყალობაზეა დამოკიდებული.** ტაშფანდურები, რომლებიც ერთჯერადი და სწრაფწარმავალია, ვერ ჩაანაცვლებენ კულტურას.

მადლობა ღმერთს, დღესაც არსებობენ დიდი მამულიშვილების — ზუბალაშვილების, სარაჯიშვილის, ხოშტარიას საქმის ღირსეული გამგრძელებელნი, კულტურის უერთგულესი მეცენატები. ბატონი ბიძინა ივანიშვილისა და ბატონი გია ჯოხთაბერიძის წვლილი უნიკალურია.

ერს, რომელსაც სულიერების, კულტურის, იდეალის მოთხოვნილება დაქვეითებული აქვს და სილამაზეს, მშვენიერებას, ყოფიერებას, ობივატელობას ანაცვლებს, განწირულია. „ობივატელი" შეხედულებაა, ცხოვრების წესია, ის შეიძლება ახასიათებდეს ხუთუნივერსიტეტდამთარებულსაც კი. პრაგმატიზმის პრიმატით მცხოვრები ქვეყანა საოცარი სიჩქარით შორდება ზნეობას. მხოლოდ ხელოვნებას და კულტურას შეუძლია, დაამყაროს ჰარმონია მატერიალურსა და სულიერებას შორის. ეს „შესავალი" იმისათვის დამჭირდა, რომ არცთუ იშვიათად, თანაც უმაღლესი ხელმძღვანელებისგან, პოლიტიკოსებისგან, გაიგონებთ, „რა დროს კულტურაა, ხალხს შია". თითქოს „ხალხს" არ შიოდა, არ სწყუროდა და არ სტკიოდა დიდი ბერძნული კულტურის შექმნის საუკუნეებში, ვარძიის, ჯვრის და სვეტიცხოვლის მშენებლებს, ქვითხუროებს, ფრესკამწერთ, რენესანსის დიდოსტატებს, თითქოს, გენიალურ იმპრესიონისტებს, რომელთა ერთი ფერწილო დღეს 100-150-200 მილიონი დოლარი ღირს, არაერთი ღამე არ გაეთენებინოთ მშიერსა და მწყურვალს.

**— დასკვნის სახით რას გვეტყვით?**

— საქმე იმდენად დაფინანსებაში და ჰონორარებში არ არის, რამდენადაც ღირებულებათა პრიმატში, მრწამსში, მოტივაციის ძალაში, ქვეყნის სახელისა და დიდებაში წვლილის შეტანაში, იმაში ხედავს და აფასებს ამ წვლილს ერი, საზოგადოება, ხელისუფლება. 60-80-იან წლებში ჩვენს ქვეყანას გაცილებით ნაკლები მატერიალური შესაძლებლობები ჰქონდა, არც დამოუკიდებელი ვიყავით, მაგრამ ქართულ მიწაზე აღმოცენდნენ უბრწყინვალესი მონუმენტები: ვახტანგ გორგასალი, დავით გურამიშვილი, გიორგი სააკაძე თბილისში, დავით აღმაშენებელი თბილისსა და ქუთაისში, თამარ მეფე ახალციხეში, ცოტნე დადიანი ფოთში, გამარჯვების მონუმენტი გორში, ალგეთის ლეკვები მარნეულში, მედეა ბიჭვინთაში, „ალგეთის ბაზილიკა" სოფელ ტბისში, შრომის მემორიალი ქუთაისში, „ხსოვნის კუბი" სენაკში და სხვა. ფილმები, მსოფლიო რომ აალაპარაკა „ქართული კინოს ფენომენზე" ... მიხეილ თუმანიშვილის, რობერტ სტურუას, თემურ ჩხეიძის და სხვათა გამაოგნებელი სპექტაკლები, ზურაბ ნიჟარაძის, ლევან ცუცქირიძის, ედმუნდ კალანდაძის, კოკი მახარაძის, გოგი თოთიბაძის, ჯიბსონ ხუნდაძის, დიმიტრი ერისთავის, გულდა კალაძის, ესმა ონიანის, მამია მალაზონიას, გივი თოიძის, მერაბ აბრამიშვილის, რადიშ თორდიას, თემო გოცაძის და სხვათა ფერწერა. ქართველმა კომპოზიტორებმა, ფოლკლორულმა ანსამბლებმა მნიშვნელოვნად გააფართოეს საქართველოსადმი ინტერესი, მისი ცნობადობა. გადავავლოთ თვალი პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს ხელოვნებას. არაფერი ამ ხარისხის და მასშტაბის არ არის.

დღეს საჭიროა რადიკალური შემოტრიალება კულტურისაკენ.

**— ბატონო ვახტანგ, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა, საპრეზიდენტო შეხვედრებისას, არაერთხელ აღნიშნა კულტურის მნიშვნელობაზე, კულტურის კომისიის შექმნასაც დაგვპირდა.**

— ეს იმედისმომცემი დანაპირებია! საზოგადოება ელოდება დანაპირების შესრულებას... ვაგრძელებ „სილის გაწვნის" თემას.

ნაცებმა შემოქმედებით კავშირებს „კომუნისტური გადმონაშთის" იარლიყი მიაკრეს და გარიყეს ქვეყნის ცხოვრებიდან, გაათითოკაცეს ხელოვანები. მაგრამ ფაქტია, „კავშირები" არსებობენ, დღესაც წარმოადგენენ უუფლებო, მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვან პროფესიულ საზოგადოებებს, რომელთაც შეუძლიათ უდიდესი სარგებლობა მოუტანონ ქვეყანას. არცერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში შემოქმედებითი ორგანიზაციების ისეთი დარბევა არ ყოფილა, როგორც ეს სააკაშვილის რეჟიმმა ჩაიდინა.

სრულიად გაუგებარია ერის იდენტურობის განმსაზღვრელი კულტურისა და ძეგლთა დაცვის, განათლებისა და მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროების გაერთიანება. გავიდა საკმაო დრო, საქართველოს მთავრობა ვალდებულია, მოახსენოს ხალხს, რა შედეგები — მატერიალური, სულიერი, ინტელექტუალური მოგვცა ამ გაერთიანებამ. სააკაშვილის მიერ არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროს გაუქმებამ, ვხედავთ, რა დღეშიც ჩააგდო მთლიანად დარგი. არქიტექტურა და მშენებლობა ქვეყნის უდიდეს პრობლემად იქცა. ორასწლოვანი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მაგალითის მექანიკური გადმოტანა სრული ნონსენსია.

**— „სილის გაწვნის" მიზეზების უბრალო ჩამოთვლაც კი ძალიან დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ არ გაქვთ უფლება, არ ილაპარაკოთ თქვენს პროფესიაზე — არქიტექტურაზე.**

— ავტორიტარიზმის ცხრაწლიან პერიოდში, „ჩარეცხა" რა ინტელიგენცია და ხელოვანები, სააკაშვილი, თავის საეჭვო გემოვნებით, თავად გახდა ქვეყნის მთავარი არქიტექტორი, საქართველო აქცია დაბალი კვალიფიკაციის, საკუთარ ქვეყანაშიც უჩინარი უცხოელი არქიტექტორების მოღვაწეობის ასპარეზად.

„ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლით რადიკალური ცვლილებების მოლოდინმა, კულტურისაკენ შემობრუნების იმედებმა არ გაამართლა. სამწუხაროდ, კულტურა კვლავაც „ზედმეტ ტვირთად" აწვება ქვეყანას. თბილისის, ასევე რაიონების მუნიციპალიტეტების, კულტურისა და არქიტექტურის სამსახურებში ხელმძღვანელ პოსტებზე ვერ ნახავთ ვერც არქიტექტორებს და ვერც ხელოვნების სფეროს ავტორიტეტულ წარმომადგენლებს, რაც პირდაპირ მიანიშნებს კულტურისადმი დამოკიდებულებას.

არქიტექტურა ფაქტობრივად განდევნილია როგორც ადმინისტრაციულ-მმართველობითი, ასევე სახელოვნებო უწყებებიდან. ის მთლიანად უზურპირებულია არაარქიტექტორების მიერ, რამაც განაპირობა მისი, როგორც ეროვნული კულტურის ფენომენის დაკნინება.

რუსთაველის პრემიების კომიტეტში არქიტექტორის როგორც წევრის და არქიტექტურის ნომინაციის გაუქმება, ამ უგულებელყოფის აპოგეაა.

ესაუბრა
**გიორგი ცნოგილაძე**

**„ქართულმა ოცნებამ“ ვენეციის კომისიის რეკომენდაციათა მცირე ნაწილი გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევასთან დაკავშირებით. რეკომენდაციების უმეტესობაზე უმრავლესობისგან ან პირდაპირი უარია, ანდა — არაპირდაპირი.**

**რა გაითვალისწინა და რა არა უმრავლესობამ კანონპროექტის მეორე მოსმენის დროს ვენეციის კომისიის დასკვნიდან? განვიხილოთ რამდენიმე რეკომენდაცია.**

**— იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კანდიდატების შერჩევისას ფარული კენჭისყრის ღია კენჭისყრით ჩანაცვლება — ასეთია ვენეციის კომისიის ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია.**

**უმრავლესობა ამბობს, რომ არ თვლის საჭიროდ ამ რეკომენდაციის გათვალისწინებას რამდენიმე მიზეზის გამო:**



# რა (არ) გაითვალისწინა „ქართულმა ოცნებამ“ ვენეციის კომისიის დასკვნიდან?!

● ფარული კენჭისყრა ზეგავლენებისა და კონტროლის წინააღმდეგ ბრძოლის გარანტიაა;

● 2013 წლის 11 მარტის დასკვნით, ვენეციის კომისია თავად მოუწოდებდა საქართველოს — იუსტიციის საბჭოში სწორედ ფარული კენჭისყრის მექანიზმი დაემკვიდრებინა.

ოპონენტები შეახსენებენ „ქართულ ოცნებას“, რომ ახლა 2013 წელი არ არის, რომ ვითარება მას შემდეგ დამძიმდა და ამ ეტაპზე ვენეციის კომისია კანდიდატთა შერჩევის პროცესში მეტი ობიექტურობისთვის სწორედ ღია კენჭისყრის საჭიროებას ხედავს.

**ვენეციის კომისიის ამ რეკომენდაციასთან მიმართებით ოპონენტებისთვის სრულიად გაუგებარია, რა საჭიროა კიდევ ერთი ფარული კენჭისყრა კანდიდატების ქულებით შეფასების შემდეგ.**

მით უმეტეს, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, „კანდიდატების რიგი უნდა დადგინდეს იმ ქულების მიხედვით, რომლებიც შეფასების პროცესში მიიღეს. ამგვარად შესაძლებელი გახდება, რომ პარლამენტს წარედგინოს საუკეთესო კანდიდატთა სია.“

**უმრავლესობა კი თავის პოზიციას შემდეგნაირად ხსნის:**

● ყოველ ჯერზე საჭიროა, რომ საბჭომ თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილება განახორციელოს: მოისმინოს, შთაბეჭდილება მოინიშნოს და ფარული კენჭისყრით შეაფასოს ესა თუ ის კანდიდატი;

● მიზანია, რომ საუკეთესო კანდიდატები წარედგინოს პარლამენტს.

ოპონენტების პოზიციით, მორიგი ფარული კენჭისყრა წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის დატოვებულ დამატებით მექანიზმს არასასურველი კანდიდატების თავიდან მოშორების მიზნით.



**— კანდიდატების შერჩევა და გამორიცხვა უნდა მოხდეს გონივრულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობითა და იურიდიული გასაჩივრების შესაძლებლობით — ვენეციის კომისიის რეკომენდაცია.**

საპარლამენტო უმრავლესობა თვლის, რომ ასრულებს ამ რეკომენდაციას. ოპოზიციისთვის კი ცხადია, რომ ეს ასე არ არის.

**საპარლამენტო უმრავლესობა იზიარებს მიდგომას, რომლის მიხედვითაც:**

● კონკურსში მონაწილეთა მთელი შემადგენლობის 45-კაციან „გრძელ სიამდე“ დაყვანის პროცესში იუსტიციის საბჭოს წევრები კანდიდატების ბედს მათთან გასაუბრების გარეშე, დოკუმენტების მიხედვით წყვეტენ;

● კრიტერიუმები იქნება — კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის შეფასება.

ოპონენტები ამბობენ, რომ ამ ეტაპზე ყველაზე იოლია „კლანის“ ინტერესებთან შეუსაბამო კანდიდატების თავიდან მოშორება, როდესაც მათი განხილვა, პრაქტიკულად, უნახავად, მწირ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდება.

**ოპონენტებისთვის მეტად პრობლემურია ასევე გასაჩივრების საკითხიც. უმრავლესობის პოზიციით:**

● გასაჩივრება მხოლოდ განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტების გადარჩევის ეტაპზეა შესაძლებელი;

● შემდგომ ეტაპებზე კი იუსტიციის საბჭოს (როგორც კონსტიტუციურ ორგანოს) გადაწყვეტილება ვერ გასაჩივრდება;

● ამავე მიზეზით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ მოეთხოვება გადაწყვეტილების დასაბუთება ამა თუ იმ კანდიდატთან დაკავშირებით.

ოპონენტებისთვის არ არის საკმარისი, რომ პარლამენტს გადაეგზავნება სრულყოფილი ინფორმაცია კანდიდატების მონაცემებისა და მიღებული ქულების თაობაზე.

ისინი თვლიან, რომ ეს ვერ ჩაანაცვლებს კანდიდატთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას.

**იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატია, არ უნდა მონაწილეობდეს არც ერთ პროცედურაში, რომელიც დაკავშირებულია ამ კანდიდატების შერჩევასა და წარდგენასთან — ვენეციის კომისიის რეკომენდაცია.**

უმრავლესობა თვლის, რომ გაიზიარა ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის ეს რეკომენდაცია. ოპონენტები ასე არ ფიქრობენ და მათ უამრავი შეკითხვა აქვთ.

უმრავლესობის პოზიციით, საკმარისი იქნება, თუკი ასეთ შემთხვევაში იუსტიციის საბჭოს წევრს შეეზღუდება:

● სხვა კანდიდატებისთვის შეკითხვების დასმა;

● სხვა კანდიდატების შეფასება;

● როგორც თავისი, ასევე სხვა კანდიდატების კენჭისყრაში მონაწილეობა.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან ერთად, ოპოზიცია „ქართულ ოცნებას“ შეახსენებს ეუთო/ოდირის შეფასებებსაც, რომელთა მიხედვითაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი წევრი არ უნდა განიხილებოდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად.

ამასთან ოპონენტები დარწმუნებული არიან, რომ, მაგალითად:

● შეკითხვების დასმის აკრძალვის მიუხედავად, კონტროლის მექანიზმია ისიც, რომ იუსტიციის საბჭოს ასეთი წევრი შესაძლებელია, დაესწროს სხვა კანდიდატებთან გასაუბრებას;

● იუსტიციის საბჭოს ასეთ წევრს აქვს მეტი ბერკეტი, თუნდაც მხოლოდ მეგობრული ურთიერთობების ფარგლებში თავის სასარგებლო ზეგავლენა მოახდინოს კოლეგებზე;

**უნდა გადაიხედოს მოთხოვნა, რომ არამოსამართლე კანდიდატებმა ჩააბარონ საკვალიფიკაციო გამოცდები** - ასეთია ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის კიდევ ერთი რეკომენდაცია.

ეს არის ვენეციის კომისიის ერთადერთი რეკომენდაცია, რომელიც სრულად გაიზიარა „ქართული ოცნების“ უმრავლესობამ და ოპოზიციასაც აღარ დარჩა შეკითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით.

დროის სიმცირის გამო, 18 აპრილს პარლამენტის სხდომაზე დეპუტატებმა ვერ მოასწრეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტის სრულად განხილვა. შესაბამისად, უპასუხოდ დარჩა ბევრი შეკითხვა.

**ლელა კუნჭულია**

# „ენერგეტიკა საქართველოსა და ყაზახეთის თანამშრომლობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა“

**„ენერგეტიკა საქართველოსა და ყაზახეთის თანამშრომლობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, ყაზახეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ნავთობის მზარდი მოპოვების ფონზე, ჰქონდეთ იმ მარშრუტების დივერსიფიკაციის შესაძლებლობა, რომლითაც აღნიშნულ პროდუქციას დასავლურ ბაზრებს მიაწვდიან. ამ თვალსაზრისით ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ჩვენ ვისაუბრეთ, როგორ გავზარდოთ უფრო მეტად საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი და საქართველოს ბაზრის მიმზიდველობა ჩვენი ყაზახი პარტნიორებისთვის“,** — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ ყაზახეთის ენერგეტიკის მინისტრთან კანატ ბოზუმბავთან შეხვედრის შემდეგ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, ყაზახ კოლეგასთან საუბრისას ყურადღება გამახვილდა ყაზახური ინვესტიციის შესაძლო განხორციელებაზე საქართველოში, კერძოდ, ყაზახური მხარე აქტიურად განიხილავს საქართველოში ნავთობგაზოქიმიის ნედლეულის გადამუშავებას და მესამე ქვეყნებში საბოლოო პროდუქტების მიწოდების შესაძლებლობას. **„ჩვენ შევთანხმდით, რომ აღნიშნულ ინიციატივაზე ერთობლივად ვიმუშავებთ და ამან, შესაძლოა, ნავთობქიმიის გადამუშავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს“,** — აღნიშნა ნათია თურნავამ.



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ყაზახეთში სამუშაო ვიზიტით იმყოფება, რომლის ფარგლებშიც ყაზახეთის მთავრობის წევრებთან შეხვედრებს გამართავს, გარდა ამისა, ნათია თურნავა მონაწილეობას მიიღებს საქართველო — ყაზახეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მეათე სხდომაში, რომლის დასრულების შემდეგ ხელი მოეწერება შესაბამის ოქმს. ვიზიტის დროს ასევე დაგეგმილია შეხვედრა ყაზახეთში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენებთან.



**ხუთსულიანი** ოჯახის ყოველთვიური საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი 361 ლარი და 20 თეთრია. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით, ეს თანხა ოჯახს უნდა ეყოს დაბალანსებული კვებისთვის. მაგალითად, ოთხსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი თვეში შეადგენს 321 ლარს, სამსულიანი ოჯახის — 288 ლარს, ორსულიანის — 256 ლარს.

როგორ ხდება ციფრებით მანიპულირება, ამის შესახებ ექსპერტი სასურსათო უსაფრთხოების საკითხებში, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი **შოთა ჩხეიძე** გვესაუბრება.

# შოთა ჩხეიძე: კასტრირებული საარსებო მინიმუმი

**— თუკი გავითვალისწინებთ, რომ საარსებო მინიმუმი წარმოადგენს ორიენტირს ხელფასის, პენსიის, სტიპენდიისა და შემწეობის გასაცემად, გამოდის, რომ ჩვენს მოსახლეობას დამშვიდების საფუძველი არა აქვს. ხუთსულიანმა ოჯახმა როგორ უნდა იმყოფინოს თვეში 361 ლარი?**

— სინამდვილეში, მხოლოდ ერთ ადამიანს სჭირდება 275 ლარი ფიზიოლოგიური ნორმის გათვალისწინებით და რეალური ფასებით, რათა უბრალოდ იარსებოს. რატომღაც ჩვენში ციფრებს იოლად ასახელებენ და ავიწყდებათ, რომ მინიმალური სასურსათო კალათა სულაც არ ნიშნავს, არასწორად შეეხონ ადამიანების ფიზიოლოგიურ ნორმას. ამის უფლება არავის აქვს. ფიზიოლოგიური ნორმა იმის გარანტიას იძლევა, რომ თუ ადამიანი შესაბამისი რაოდენობით მიიღებს ცხიმებს, ცილებს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს, ის ჯანმრთელი და სიცოცხლისუნარიანი იქნება. ხოლო, თუ საარსებო მინიმუმი იმის მიხედვით „გამოუყვანე“ ადამიანებს, რომ 200 გრამი ხორცის ნაცვლად დაკმაყოფილდნენ 80 გრამი ხორცით, ხოლო ნორმირებული 960 გრამის ნაცვლად რძის პროდუქტების ნორმა შეუმცირე, ეს უკვე საქართველოს მიერ შეთანხმებულ საერთაშორისო ნორმებთანაც მოდის წინააღმდეგობაში. ამ მონაცემებით თუ იანგარიშებ საარსებო მინიმუმს, რა თქმა უნდა, გაცილებით იაფი დაჯდება ცალკეული პროდუქციის შესყიდვა და სასურსათო კალათაც ნაკლები გამოვა, მაგრამ ეს ციფრი ხომ არარეალურია. ამით რომ იარსებოს ადამიანმა, ხომ დაიღუპება?!

**— ასეთი საარსებო მინიმუმის გამოყვანა იმისთვის ხომ არ ხდება, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები დაარწმუნონ, თითქოს საქართველოს მოსახლეობა საარსებო მინიმუმით დაკმაყოფილებულია?**

— რა თქმა უნდა. სხვათა შორის, ზუსტად ასე მოხდა 2003 წელსაც და ამის შემდეგ დარჩა ეს არასწორი ტენდენცია. მე ამას დავარქვი „კასტრირებული საარსებო მინიმუმი“. სასურსათო კალათაში, ალბათ, მხოლოდ კვება არ იგულისხმება და აქ იგულისხმება არასასურსათო ხარჯებიც — გადასახადი, გაზი, ტრანსპორტი, ჩაცმა-დახურვა, მედიკამენტები. მაშინ საინტერესოა, კვებისთვის რაღა გამოდის? საქსტატის მიერ დასახელებული თანხების ნახევარი?

**— დავით სერგეენკო ადასტურებს, რომ საქართველოში საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდი შესაცვლელია. როგორ უნდა შეიცვალოს ეს მეთოდოლოგია, რომ ფაქტებს შელამაზებულად არ წარმოაჩენდეს და არ გვარწმუნებდეს, თითქოს ხუთსულიან ოჯახს 361 ლარი ყოფნის?**



— უახლოეს დღეებში ეროვნულ აკადემიაში მექნება მოხსენება სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ საქართველოში. იქ სრულფასოვანი და არასრულფასოვანი კვების საკითხებს განვიხილავ და საარსებო მინიმუმსაც შევეხები. საარსებო მინიმუმი ყველა ნორმალურ ქვეყანაში 30/70-ზეა, რაც ნიშნავს, რომ სასურსათო კალათის 30% უნდა ეყოს საკვებს, ხოლო 70% ( ანუ ორჯერ და კიდევ მეტი) უნდა ეყოს არასასურსათო ხარჯებს. ჩვენთან კი საარსებო მინიმუმი პირიქითაა - 70/30-ზეა, რაც არც ერთ ქვეყანაში არაა, ეს ულარიბესი, ულატაკესი ქვეყნის ვარიანტია და ამასაც ვერ ვაკმაყოფილებთ სრულად, რადგან ზოგიერთის ხელფასი 200 ლარია და ეს 200 ლარი მარტო კვებასაც არ ჰყოფნის.

**— ბოლო დღეებში მსახიობ დავით დარჩიას კომენტარი გავრცელდა, რომელმაც არ დამალა, რომ 1000-ლარიანი ხელფასი მის ოჯახს არ ჰყოფნის და ერთი სული აქვს, ბინის გაყიდვის შემდეგ საქართველოდან წავიდეს. ასეთ მდგომარეობაში ბევრი ადამიანია. ამ ფონზე დღემდე გაუთავებლად დავობენ, რამდენი უნდა იყოს საშუალო ხელფასი. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ულარიბესი ქვეყნების სიაში ვართ და მეექვსე ჯგუფს მივეკუთვნებით, რომელიც ღარიბი ქვეყნების ბოლო ჯგუფია, შედარებით უკეთესი იქნებოდა, საარსებო მინიმუმი 50/50 იყოს. მაგალითად, 30/70-ის ვარიანტი განვიხილოთ, როგორც ეს ყველა ნორმალურ ქვეყანაშია. ამ 30%-ში მარტო კვებისთვის დასახარჯ საარსებო კალათად 275 ლარი რომ ვიანგარიშოთ, მაშინ 70% გამოვა არასასურსათო ხარჯები. ეს ნორმალური ვარიანტია, ანუ საუბარია 916 ლარზე, მაგრამ ასეთი შეფარდება ჩვენთან ფანტაზიაა, ამის საშუალება არ არის. ამიტომ უმჯობესია 50/50-იანი შეფარდება, ანუ 50%-ად ჩავთვალოთ კვებისთვის საჭირო 275 ლარი, პლუს კიდევ 275 ლარი არასასურსათო ხარჯებზე დაიხარჯოს. ეს გამოდის 550 ლარი. ამას მაინც რომ მივაღწიოთ, უკეთესი შედეგი იქნება და ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთმა ადამიანმა ერთ თვეში 550 ლარი უნდა იმყოფინოს.

**— საქართველოში პურეულით კვება პრიორიტეტულია, რადგან ხალხს სხვა საჭმელი ნაკლებად აქვს. ამ დროს ყველა ნორმალურ ქვეყანაში პურის რაციონი 15%-ია. მით უმეტეს, საქართველოში შემოტანილი საეჭვო საფუარით გამომცხვარი პური უამრავ დაავადებას იწვევს.**

— ეს კიდევ მეორე საკითხია. საერთოდ, პური 2-ჯერ უფრო მეტ ენერგიას იძლევა, ვიდრე ხორცი. 100 გრამი პური იძლევა 220 კილოკალორიას, მჭლე ხორცი კი იძლევა 100 კილოკალორიას, ე.ი. ორჯერ უფრო კალორიულია პური და თანაც ათჯერ უფრო იაფი. ამიტომ რაკი პური შიმშილის გრძნობას აკმაყოფილებს და უფრო იაფია, ყველა ეტანება პურს. სინამდვილეში, ასეთ დროს ორგანიზმს აწუხებს ფარული შიმშილი, მას აკლია ცილები, ცხიმები, ვიტამინები, მიკროელემენტები, რომლებიც აუცილებელია ორგანიზმისთვის და ეს ყველაფერი ათასნაირ ავადმყოფობას იწვევს. სამწუხაროდ, 60-65% პურია ჩვენს რაციონში. რაც შეეხება ახალ საარსებო მინიმუმს, ეს იმისთვის გამოიგონეს, რომ ვიზუალური სურათი გაეუმჯობესებინათ, რათა თვალშისაცემი არ ყოფილიყო, რომ ხალხი არასრულფასოვნად იკვებებოდა. იცით, ეს რას მოჰყვა? 1999 წლიდან 2005 წლის ჩათვლით მე ვიყავი საქართველოს წარმომადგენელი ნატოში, ყოველწლიური მოხსენებებით გამოვდიოდი, თუ რა მდგომარეობაში იყო ჩვენი მოსახლეობა არაჯანსაღი, არასრულფასოვანი კვების გამო. 2003 წელს გამოვედი მოხსენებით იმის შესახებ, რომ მძიმე მდგომარეობა იყო საქართველოში და 200 გრამის ნაცვლად 80 გრამ ხორცს იღებდა ჩვენი მოსახლეობა, 960 გრამი რძისა და რძის პროდუქტების ნაცვლად მის ნახევარს მოიხმარდა, თევზს საერთოდ ვერ მიირთმევდა, ასევე, განახევრებულად ვიღებდით ხილს, ბოსტნეულს. ჩემი მოხსენების შემდეგ ეს მონაცემები ნატომ საგანგაშოდ ჩათვალა. ამის შემდეგ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს, ჩართეს სხვადასხვა ქვეყნები, რათა საქართველოში სასურსათო დახმარებები გამოეგზავნათ. ჩვენს მთავრობას წერილი მოსწერეს, სასწრაფო ზომები მიიღეთო. 2003 წლის ბოლოს ჩვენმა ხელისუფლებამ სიტუაცია იმით „გამოასწორა“, რომ ფიზიოლოგიური ნორმები შეამცირა. ყველაფერი ისე წარმოაჩინეს, რომ რა პროდუქციასაც იღებდა ჩვენი მოსახლეობა, თურმე საკმარისი ყოფილა და თითქოს ყველაფერი კარგად იყო. მაგალითად, საერთაშორისო ნორმით ხორცის ნორმა 200 გრამია, ხელისუფლებამ კი ის 80 გრამი ჩათვალა ნორმად, რასაც ჩვენი ხალხი გაჭირვებული მდგომარეობის გამო მოიხმარდა. ასევე, 960-გრამიანი ნორმის ნაცვლად რძის პროდუქტებზე 215 გრამი დაადგინეს. სინამდვილეში, ეს არასრულფასოვან კვებას ნიშნავდა, რაც მხოლოდ რამდენიმე დღითაა დასაშვები და ისიც მაშინ, როცა საგანგებო მდგომარეობაა ქვეყანაში.

**მანანა ნოზაძე**

# ამერიკელი კონგრესმენის კანონპროექტი „ფრონტერას“ საქმეს უკავშირდება

**აშშ-ში საქართველოს საელჩოს განცხადებით, ამერიკელი კონგრესმენის მარკვეინ მულინის თბილისის მიმართ სანქციების კანონპროექტი კომპანია „ფრონტერას“ მიერ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელს უკავშირდება.**

როგორც „აქცენტს“ საელჩოში განუცხადეს, აღნიშნულ დოკუმენტს და იქ გაჟღერებულ პოზიციებს აშშ-ის კონგრესმენების მხარდაჭერა არა აქვს.

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის ენერგეტიკისა და ვაჭრობის კომიტეტის წევრი, რესპუბლიკელი კონგრესმენი ოკლაჰომას შტატიდან მარკვეინ მულინი საქართველოში ამერიკულ ბიზნესზე ზეწოლის შემთხვევაში ქვეყნის მთავრობისთვის სანქციების დაწესებას ითხოვს.

**„საქართველოსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა დღეს უმაღლეს ნიშნულზეა. ამაზე მეტყველებს ის უკვე მიღებული რეზოლუციები და საკანონმდებლო აქტები, რომელსაც კონგრესმა ცალსახად დაუჭირა მხარი. მათ შორის არის საქართველოს მხარდაჭერის აქტი, რომელიც გასული წლის 12 დეკემბერს იქნა მიღებული წარმომადგენელთა პალატაში კონგრესმენთა ერთიანი მხარდაჭერით.**

**აშშ-ის კონგრესში წარდგენილი დოკუმენტის პროექტი და კონკრეტული კონგრესმენის ინტერესი უკავშირდება კომერციული სახის დავას — „ფრონტერას“ საქმეს, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, მიმდინარეობს. მხარეებს შორის დავის გადაუჭრელობის გამო საქმე ქართული მხარის ინიციატივით განსახილველად გადაეცა ნეიტრალურ მხარეს — სტოკჰოლმის საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელსაც ამ საქმეზე ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილება არ გამოუტანია. ჩვენ ვერ ვხედავთ სტოკჰოლმის საარბიტრაჟო სასამართლოზე უფრო მიუკერძოებელ მხარეს და მიმდინარე დავის ამაზე უფრო სამართლიანად გადაჭრის სხვა გზას.**

**საქართველოს მთავრობა ნებისმიერი კომპანიისთვის უზრუნველყოფს თანაბარ, ბიზნესის წარმოებისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს, რაც ეფუძნება გაფორმებული შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების მკაცრად დაცვისა და კანონის უზენაესობის პრინციპს. ამის მკაფიო დასტურია ამჟამად საქართველოში წარმატებით მოქმედი 200-მდე ამერიკული კომპანია და ასევე საქართველოსა და აშშ-ს შორის ვაჭრობის მზარდი დონე.**

**აღნიშნულ დოკუმენტს და იქ გაჟღერებულ პოზიციებს არა აქვს კონგრესმენების მხარდაჭერა. საელჩო განაგრძობს ამერიკელი კანონმდებლების მაქსიმალურად ინფორმირებას ჩვენი ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მხარდაჭერისთვის“,** — განუცხადეს „აქცენტს“ საელჩოში.

# „FRANCE 24“ (საფრანგეთი): შავ ზღვაზე ნატოს არც ერთი ქვეყანა რუსეთს ზედმეტად არ გააჯავრებს



***ფრანგული** გამოცემა, „France 24“ შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე პროცესებს ვრცელ სტატიას უძღვნის. საინფორმაციო სააგენტო „**ნიუსპრესი**“ გთავაზობთ **სტეფანი ტრიუარის** ავტორობით გამოქვეყნებული მასალის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით:*

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჯერ კიდევ 3 აპრილს განაცხადა, რომ შავ ზღვაზე სამხედრო ყოფნას გააფართოებს და იქ დამატებით ხომალდებს გაგზავნის. ვაშინგტონის სამიტზე კი, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 70 წლისთავს მიეძღვნა, ნატომ შავ ზღვაზე მოქმედებისთვის ზომების სპეციალური პაკეტი მიიღო. ეს ყველაფერი კი 2018 წლის ნოემბერში ქერჩის სრუტეში მომხდარმა სამხედრო ინციდენტმა გამოიწვია, როცა რუსეთის გემებმა უკრაინის გემები დააკავეს.

## შავი ზღვის რეგიონი: ვითარება უარესდება?!

როგორც ვაშინგტონის საერთაშორისო სტრატეგიული კვლევების ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი **კვენტინ ლოპინო** მიიჩნევს, აშშ-ის თაოსნობა შავი ზღვის რეგიონში ვითარების გაურესებაზე რეაქციას წარმოადგენს:

**„რუსეთმა მიზნად დაისახა შავი ზღვის ფლოტის და ინფრასტრუქტურის მოდერნიზება, ამიტომაც მოსკოვი თავისი ტერიტორიის დაცვას უფრო აგრესიულად ეწევა. თავის მხრივ, ვაშინგტონსაც არ სურს ამაზე თვალის დახუჭვა, რადგან შიშობს — ვაითუ რუსეთი მთლიანად შავ ზღვაზე გაბატონდესო. ამრიგად, გამოწვევა იმაში მდგომარეობს, რომ შავი ზღვა დარჩეს თავისუფალი ნავიგაციის საერთაშორისო ტერიტორიად.**

პარიზის სტრატეგიული კვლევების ფონდის მეცნიერ-თანამშრომელი **ივ ბოიე** მიიჩნევს, რომ პრობლემა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ხარისხში გამოიხატება: **„ჩვენ უნდა განვაცხადოთ და განვმარტოთ, რომ ამერიკელებს სურთ, დაამშვიდონ საქართველო, რუმინეთი და ბულგარეთი. შესაძლოა, ამაში უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს დახმარების გაწევის იდეაც არის — იგი მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგად,** — ამბობს ივ ბოიე. მისი აზრით, რუსეთს სრული უფლება აქვს, ამერიკელთა გეგმა პროვოკაციად მიიჩნიოს: **„ეს იგივეა, რომ დათვს კისერზე მოფხანო. თქვენ გგონიათ, რომ მას ესიამოვნება, მაგრამ აბსოლუტურად საწინააღმდეგო რეაქციას მიიღებთ. ფაქტია, რომ ქერჩის სრუტეს და აზოვის ზღვის აკვატორიას დღეს რუსეთი აკონტროლებს. აშშ-ის მოთხოვნა რუსეთის მიმართ (აზოვის ზღვისგან თავი შორს დაიჭირეო) იგივეა, რომ რუსებმა ამერიკელებს მოსთხოვონ — მექსიკის ყურეს მოშორდითო“.**

## ქერჩის სრუტის სტრატეგიული მნიშვნელობა

ჯერ კიდევ ნოემბრის ინციდენტამდე კიევი და ვაშინგტონი მოსკოვს რამდენიმე თვის განმავლობაში ადანაშაულებდნენ, რომ რუსეთი **„წინასწარგანზრახულად უშლის ხელს“** ქერჩის სრუტეში სავაჭრო გემების გავლასო. **„ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის შემდეგ ქერჩის სრუტე რუსეთისათვის ძალიან მნიშვნელოვანი გახდა - სრუტეზე გადებული ხიდი ყირიმს რუსეთის ტერიტორიასთან ფიზიკურად აკავშირებს, ანუ სრუტის გაკონტროლება ყირიმის ანექსიასაც განამტკიცებს“,** — ამბობს **კვენტინ ლოპინო**.

ქერჩის სრუტეს უკრაინისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს: მისი მეშვეობით უკრაინის გემები აზოვის ზღვაში შედიან, რომლის ნაპირზე უკრაინის რამდენიმე პორტი მდებარეობს — ბერდიანსკი, მარიუპოლი...

## „რუსეთი უბრალო ხელწამოსაკრავი სახელმწიფო არ არის“

შავიზღვისპირა სახელმწიფოებს, რომლებიც ნატოს წევრები არიან — რუმინეთი, ბულგარეთი და თურქეთი — გასაგები მიზეზების გამო სრული უფლება აქვთ, ზღვაში თავიანთი გემები იყოლიონ. არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო გემების ტრანზიტი შავ ზღვაში რეგულირდება მონტრეს 1936 წლის კონვენციით სრუტეების სტატუსის შესახებ, რომლის მიხედვით, მშვიდობიან დროს ზღვაში თავისუფალი ნავიგაცია უზრუნველყოფილია.

**„მონტრეს კონვენციის თანახმად, შავ ზღვაში ამერიკული, ფრანგული, ბრიტანული და გერმანული სამხედრო ხომალდები რეგულარულად დაცურავენ“,** — განმარტავს **ივ ბოიე**.

**„2018 წელს შავ ზღვაში შევიდნენ ამერიკული საესკადრო ნაღმოსნები, 2019 წელს კი იქ სამი ფრანგული ხომალდიც შეცურდება,** — ამბობს **კვენტინ ლოპინო,** — მაგრამ ვითარების სიახლე გამოიხატება არა იმდენად ხომალდების რაოდენობის გაზრდაში, არამედ იმაში, თუ რამდენად გაუმჯობესდება ნატოს წევრების ხელთ არსებული რესურსების კოორდინირება. მიზანი ის კი არ არის, რომ შავი ზღვის აკვატორიაში რაც შეიძლება მეტი სამხედრო რესურსი იქნეს კონცენტრირებული, არამედ უკვე არსებული ძალების უფრო ეფექტური გამოყენება“.

ივ ბოიეს აზრით, შავი ზღვაზე სამხედრო კონფლიქტის ალბათობა შედარებით მცირეა: **„შავ და აზოვის ზღვებში ნატოს არც ერთი ქვეყანა რუსეთს ზედმეტ გაჯავრებას არ დაუწყებს. მათ კარგად იციან, თუ ვისთან აქვთ საქმე — რუსეთი რომელიღაც უბრალო ხელწამოსაკრავი ქვეყანა კი არაა, არამედ მსოფლიოში მეორე მძლავრ ბირთვულ სახელმწიფოს წარმოადგენს“.**

# „ETCETERA“ (უკრაინა): სააკაშვილი უკრაინაში არავის სჭირდება, მისმა მატარებელმა ჩაიარა

**უკრაინაში ძალიან ბევრი სერიოზულად ფიქრობს, რომ თუ ქვეყნის პრეზიდენტად ვლადიმერ ზელენსკი იქნება არჩეული, მაშინ ის ადამიანები, რომლებიც ადრე იდევნებოდნენ, დაბრუნდებიან და რევანშს აიღებენ** — იგორ კოლომოისკიდან დაწყებული, ვიქტორ იანუკოვიჩით დამთავრებული. როგორც ცნობილია, უკრაინაში დაბრუნების სურვილზე ამას წინათ განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. არაა გამორიცხული ექსპრემიერ-მინისტრი ნიკოლაი აზაროვიც იმავეს ფიქრობდეს. მოხდება თუ არა მსგავსი რამ, ამის შესახებ ინტერნეტ-გაზეთ Etcetera-ს კორესპონდენტს პოლიტოლოგი **ვლადიმერ ფესენკო** ესაუბრა.

საინფორმაციო-შემეცნებითი პორტალი NSP.GE გთავაზობთ მასალის ქართულენოვან ვერსიას შემოკლებით:

პოლიტოლოგის თქმით, საქართველოს ექსპრეზიდენტი და უკრაინის ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი დაბრუნებაზე კი ოცნებობს, მაგრამ სურვილი ერთია და რეალური დაბრუნება — მეორე. რასაკვირველია, პეტრო პოროშენკოს წასვლის შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილის დასაბრუნებლად ბარიერების რაოდენობა მცირდება, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით, ამას დრო სჭირდება: იურიდიული



დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაისინჯება პეტრო პოროშენკოს ადრე მიღებული გადაწყვეტილებები. მაგრამ საკითხი მხოლოდ ამით არ ამოიწურება: **„არ მჯერა ვარაუდებისა, რომ მიხეილ სააკაშვილი ვლადიმერ ზელენსკის გარემოცვაში აღმოჩნდება, რომ მასზე გავლენას მოახდენს და ა.შ. რა თქმა უნდა, მათ შორის შეხვედრები იქნება, მაგრამ მე კარგად მაქვს წარმოდგენილი ერთი რამ: ვლადიმერ ზელენსკის გარემოცვას კარგად ესმის ის მომენტი, რომ თუ მათ გვერდით მიხეილ სააკაშვილი დადგება, იგი ჯერ მათი მეგობარი, პარტნიორი და მრჩეველი იქნება, ხვალ კი ის აუცილებლად სახიფათო მოწინააღმდეგედ და მტრად გადაექცევათ. ამიტომაც ზელენსკელებმა არ უნდა დაუშვან გვერდით საქართველოს ექსპრეზიდენტის ყოფნა ან მის მიმართ რაიმე პრეფერენციები, ვთქვათ, რაიმე თანამდებობაზე დანიშვნა, თორემ მათ ასეთი ნაბიჯი უკან შეუბრუნდებათ. ეს იქნებოდა უდიდესი შეცდომა“,** — ამბობს ვლადიმერ ფესენკო.

პოლიტოლოგი თვლის, რომ მიხეილ სააკაშვილი დაბრუნების შემთხვევაში რაღაც საქმიანობას დაიწყებს, მაგრამ საბოლოო ჯამში, იგი დღეს უკრაინაში თითქმის არავის არ სჭირდება: **„ხაზს ვუსვამ - მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში არავის არ სჭირდება: არც ვლადიმერ ზელენსკის, არც იულია ტიმოშენკოს, მით უმეტეს — არც პეტრო პოროშენკოს და ვიკარჩუკის მსგავს ახალ მოთამაშეებს. როგორც კი დაბრუნდება, მიხეილ სააკაშვილი სწრაფად მიხვდება, რომ მისმა მატარებელმა ჩაიარა, ქვეყანაში მისი ადგილი აღარ არის. უკრაინის საზოგადოება იცვლება და შესაბამისად, პოლიტიკურ ლანდშაფტში იგი ვეღარ ჩაეწერება. ვფიქრობ, ეს ძალიან დიდი იმედგაცრუება იქნება მიხეილ სააკაშვილისათვის“,** — ამბობს Etcetera-სთან საუბარში ვლადიმერ ფესენკო.

# თურქეთში მდინარე ჭოროხზე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი კაშხალი შენდება

თურქული გამოცემის, „Hurriyet“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია თურქეთში, ართვინის პროვინციაში, იუსუფელთან, მდინარე ჭოროხზე ქვეყნის ყველაზე დიდი კაშხლის მშენებლობის პროცესი, პერსპექტივები და მისი მნიშვნელობა თურქეთისათვის.

**„270-მეტრიანი იუსუფელის კაშხალი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ჰიდროტექნიკური ნაგებობა იქნება. პირველი ადგილი უკავია ჩინეთში მდებარე 292-მეტრიან კაშხალს, მეორე კი საქართველოშია — 272-მეტრიანი. იუსუფელის თაღოვანი კაშხალი განკუთვნილია 558 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურისთვის, რომელსაც შეუძლია ელექტროენერგიით უზრუნველყოს ქალაქი 650 ათასზე მეტი მოსახლეობით“,** — ნათქვამია პუბლიკაციაში. მასში ხაზგასმულია, რომ კაშხალი თურქი ინჟინრების მიერ დაპროექტდა და შენდება მხოლოდ თურქეთის სახელმწიფოს ეროვნული რესურსებით. კაშხლის მშენებლობის მნიშვნელობა ბევრად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მისი საფუძვლის ჩაყრაში 2013 წლის 26 თებერვალს მონაწილეობა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ერდოღანმაც მიიღო.

თუ რას წარმოადგენს იუსუფელის კაშხალი, მკითხველმა უფრო კარგად რომ გაიგოს, გაზეთი ასეთ შედარებას აკეთებს: **„მშენებლობის დასრულების შემდეგ მისი სიმაღლე 100-სართულიანი ცათამბჯენისას გაუტოლდება, კაშხალში ჩასასხმელი 4 მილიონი კუბური მეტრი ბეტონით შესაძლებელია, ართვინიდან ედირნემდე 13 მეტრის სიგანის მქონე საავტომობილო გზა ან 60 ათასი საცხოვრებელი ბინა აშენდეს. კაშხალში ყოველდღიურად 6500 კუბური მეტრი ბეტონი ისხმება. ბეტონი სამი საბაგირო გზით გადაიტანება“.**

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ კაშხლის მშენებლობის შემდეგ, 2020 წლის ივნისისათვის, როცა წყალსაცავში ჭოროხის წყალი დაგუბდება (2130 მილიონი კუბმეტრი), დაბა იუსუფელი და კიდევ ახლომახლო მდებარე ოთხი სოფელი წყალქვეშ მოექცევა. ამიტომ გადაწყვეტილია დასახლებული პუნქტების სხვა ადგილზე გადატანა.

**„დღეისათვის კაშხლის მშენებლობაზე 4500 ადამიანი და 500-ზე მეტი სატვირთო ავტომანქანა მუშაობს 24-საათიანი რეჟიმით. ასე რომ, იუსუფელის კაშხლის აგება უწყვეტად მიმდინარეობს“,** — ამბობს გენერალური მენეჯერი ჯალალ ტოკალაკი.

პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ მდინარე ჭოროხი თურქეთის ყველაზე სწრაფი მდინარეა, რომლის წყლის საშუალო ხარჯი თურქეთ-საქართველოს საზღვართან წამში 192 კუბურ მეტრს შეადგენს, ხოლო საშუალო წლიური მაჩვენებელი — 6,3 მილიარდ კუბურ მეტრს. ჭოროხის სიგრძე თურქეთის ტერიტორიაზე 431 კილომეტრია, საქართველოში — 21 კმ.

**ჭოროხზე 1985 წელს აგებული ჰესების სიმძლავრე საერთო ჯამში 2632 მეგავატს შეადგენს, საბოლოოდ კი, იუსუფელის ჰესთან ერთად, ელექტროენერგიის გამომუშავება წელიწადში 8631 გიგავატს მიაღწევს. მდინარე ჭოროხზე და მის შენაკადებზე დაგეგმილია 143 კაშხლის მშენებლობა, რომელთა საერთო სიმძლავრე წელიწადში 14 552 გიგავატი იქნება.**



**შესაძლოა, ზოგიერთებში კითხვას აჩენდეს, რატომ სწერდა თბილ წერილებს კალისტრატე ცინცაძე იოსებ სტალინს, რატომ ულოცავდა საბჭოთა მთავრობას „დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღეს“, რომლის დროსაც ამდენი სასულიერო პირი გაანადგურეს, უამრავი ეკლესია დახურეს, მაგრამ ასეთ კომპრომისზე წასვლას მაშინდელი რთული დროება ითხოვდა.**

**კალისტრატე ცინცაძემ უმძიმეს წლებში იტვირთა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელობა და მიუხედავად იმისა, რომ უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე თბილისის სემინარიიდან იცნობდა იოსებ სტალინს, ამას ხელისუფლებისთვის ხელი არ შეუშლია, საკუთარ მარწუხებში მოექცია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.**

**კალისტრატე ცინცაძემ ჯერ კიდევ 1939 წელს სცადა უშუალო კონტაქტზე გასვლა სტალინთან, როცა მას დაბადების 60 წლისთავი მიულოცა: „თქვენ სიჭაბუკითგანვე არ სცანით ძილი თვალთა, რული წამთა და განსვენება ხორცთა ტვირთმძიმეთა, ამისთვის მადლიერმა ერმა დაგსვათ ძლიერთა თვისთა შორის და შეგმოსათ დაუჭკნობელი დიდებით“.**

**საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ კალისტრატემ მხარდაჭერა გამოუცხადა სტალინს ფაშიზმთან ბრძოლის საქმეში, რასაც მოჰყვა სტალინის დეპეშა და მისი სალამი, სადაც სტალინი წითელი არმიის სახელით მადლობას უხდიდა კალისტრატე ცინცაძეს.**

**მანამდე კი იყო პირადად კალისტრატე ცინცაძის თავს გადახდენილი რთული პერიოდი, როდესაც ჩეკამ იმჟამინდელ პატრიარქ ამბროსი ხელაიასთან ერთად დეკანოზი კალისტრატე ცინცაძეც დააპატიმრა. მაშინდელი ბოლშევიკური პრესა სიამაყით წერდა, რომ ხიშტებით მიჰყავდათ სასულიერო პირები და მათ სამშობლოს მოღალატეებს ეძახდნენ. მეტეხის ციხეში დეკანოზი კალისტრატე გამომძიებელმა დაიბარა და შესთავაზა განცხადების დაწერა, თითქოს საკათალიკოსო საბჭოში მრავალნაირი ბოროტმოქმედება ხდებოდა და ამის გამო თავს ანებებდა საბჭოს წევრობას. ამ წერილის სანაცვლოდ თავისუფლებას ჰპირდებოდნენ, მაგრამ მან გამომძიებელს მიუგო: „თავისუფლება შეიძლება კაცმა მოიპოვოს თავის თავის დაბეზღებით? გამომძიებელმა უპასუხა, მაშინ იჯექი მეტეხშიო. თუმცა ბოლშევიკებმა ამბროსი ხელაია და კალისტრატე ცინცაძე გაათავისუფლეს.**

**რამდენად რთული იყო რეპრესიის წლებში საქართველოს საჭეთმპყრობელ კალისტრატე ცინცაძისთვის თავისი მისიის შესრულება, ამის შესახებ For.Ge-ს საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მკვლევარი ირაკლი ხვადაგიანი ესაუბრა.**

# სანამ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, ეკლესიის საქმეებს განაგებდა ზემდგომი სახელმწიფო მოხელე

**— საინტერესოა, როგორ დაუსხლტა კალისტრატე ცინცაძე რეჟიმს? ეს იმით ხომ არ აიხსნება, რომ საბჭოთა რეჟიმს არ სურდა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს შეხებოდა, რაც უთუოდ გახმიანდებოდა დასავლეთში? თუ ეს კალისტრატეს მხრიდან დიდი ლავირების შედეგია?**

— 1922-23 წლის შემდეგ, როდესაც კათალიკოსი ამბროსი დაპატიმრებულია, შემდეგ ათავისუფლებენ და, როდესაც გარდაიცვლება, პატრიარქი ხდება ქრისტეფორე ციცქიშვილი, რომელიც სულ სხვა კურსის მომხრეა სახელმწიფოს მიმართ (ქრისტეფორე ციცქიშვილი ცდილობს, გარკვეული კომპრომისი ჰქონდეს საბჭოთა რეჟიმის მიმართ, რათა არ განმეორდეს ის „შეცდომა“, რაც დაუშვეს თავიდან, როცა რეჟიმს მისცეს საშუალება, ეთქვა, თქვენ ჩვენ გვებრძვით, ამიტომაც სადამსჯელო ზომებს მივმართავთო). ქრისტეფორეს კურსი იყო ლოიალურობა, ხელისუფლებისადმი რევერანსები და მუდმივად იმის ხაზგასმა, ჩვენ არ ვერევით სახელმწიფო საქმეებში, პირიქით, მივესალმებით ხელისუფლების დადებით საქმიანობასო. თუმცა ამან დიდად არაფერი შეცვალა. უკვე ეკლესიის შიგნითაც დაიწყო განხეთქილება, კიდევ ერთხელ გაჩნდა განახლების მოძრაობა, რაც გულისხმობდა იმას, რომ ძირფესვიანად უნდა შეცვლილიყო და გათანამედროვებულიყო ეკლესია, როგორც ორგანიზაცია, თანამედროვე გამოწვევების მიმართ უფრო მოქნილი გამხდარიყო. ასევე, მოქნილი უნდა ყოფილიყო თეოლოგიური და პრაქტიკული კუთხითაც, რაც ამ ფონზე უკვე აღიქმებოდა დიდ კომპრომისად საბჭოთა რეჟიმის მიმართ. ასე რომ, ეკლესიის შიგნით მიმდინარეობდა დაუნდობელი ბრძოლა, თუმცა,



საბოლოო ჯამში, ეს მოძრაობაც დამარცხდა. ქრისტეფორეს შემდეგ კალისტრატე ცინცაძე განაგრძობს იმავე კურსს, რათა რეჟიმს არანაირი საბაბი არ მისცეს ეკლესიის წინააღმდეგ. რამდენად ეხმარება ეს კალისტრატე ცინცაძეს, სხვა საკითხია, რადგან, თუ რამემ დაიცვა სამღვდელოება დიდი ტერორისა და წმენდისგან, ეს იმან, რომ სახელმწიფომ უკვე გადაწყვიტა, რომ სხვა პოლიტიკა სჭირდებოდა. ამის შემდეგ ეკლესია ხდება იმ პოლიტიკის პასიური მიმღები, რასაც სახელმწიფო თავს ახვევდა, ანუ ეკლესიას მუდმივად უნდა დაეჭირა სახელმწიფოსთვის მხარი. 40-იანი წლებიდან შემორჩენილია ყველა შემდგომი პატრიარქის სიტყვები, სადაც ისინი ხოტბას ასხამენ სტალინს.

**— ცნობილი ფაქტია, რომ სტალინს თბილ წერილს სწერდა კალისტრატე ცინცაძეც.**

— დიახ, შემდეგ უკვე არის მიმართვები საერთაშორისო დონეზე, რომლითაც ეკლესია უკვე მხარს უჭერს საბჭოთა პოლიტიკას ცივი ომის დროს. შემდეგ იწყება ე.წ. მშვიდობის მოძრაობა საბჭოთა ზურგით, რომლითაც ოფიციალურად ებრძვიან იმპერიალიზმს მსოფლიოში. რეალურად ეს არის საბჭოთა კონტრპროპაგანდა, საბჭოთა რეჟიმის მიერ გაკონტროლებული ყველა ეკლესია ხდება მშვიდობის მოძრაობის მონაწილე. ჩვენი ეკლესიის იერარქები გადიან საზღვარგარეთ ფორუმებზე და ლაპარაკობენ იმას, რასაც ავალებს რეჟიმი. ეკლესია შიგნითაც მკაცრად და შეუვალად კონტროლდება შესაბამისი ორგანოების მიერ. ერთია, რომ სახელმწიფო პირდაპირ ერევა ეკლესიის საქმეებში და, მეორეა, რაც ჩვენ არ ვიცით: არასდროს ჩვენს სახელმწიფოს არ მიუცია მკვლევარებისთვის კვლევის ჩატარების საშუალება, თუ როგორ ხდებოდა ნებისმიერი მღვდელმსახურის დამუშავება უშიშროების ხაზით.

**— ეს დოკუმენტები რუსეთშია თუ საქართველოში?**

— არავინ იცის! პრობლემა ისაა, რომ არც არავის დაუყენებია ეს საკითხი. სახელმწიფო ყველაფერზე ამბობს, ეს მასალა აღარ არსებობსო. თუმცა არსებობს თუ არ არსებობს, ეს არავის დაუდგენია, ესეც გაურკვეველია. ცალკეულ რეპრესირებულ მღვდელმსახურთა საქმეებიდან კი ჩანს, რამდენად ღრმად, უშიშროების აგენტურა შესული მათ რიგებში. უშიშროებისთვის არაფერი იყო უცნობი, თუ რა ხდებოდა ეკლესიის შიგნით. 1944 წლიდან ხორციელდება ორმაგი კონტროლი: ეკლესია ვალდებულია, საქმის კურსში ჩააყენოს სახელმწიფო თითოეული ვიზიტის, თითოეული შეხვედრის შესახებ, ყველა შესაბამისი რანგის მღვდელმსახური ატყობინებს საბჭოთა მოხელეს საზღვარგარეთიდან ჩამოსულ დელეგაციებთან შეხვედრების თუ შიდა შეხვედრების შესახებ. გარკვეული პერიოდი ვმუშაობდი საარქივო ფონდების შესწავლაზე, სანამ ამის საშუალება იყო, და პირდაპირ ჩანს, რომ 80-იანი წლების ბოლომდე, სანამ არ დაიშალა საბჭოთა კავშირი, ეკლესიის საქმეებს განაგებს არა პატრიარქი, არამედ ზემოთ მდგომი სახელმწიფო მოხელე. ეს პირდაპირ საარქივო მასალებიდან იკვეთება.

სახელმწიფო მოხელეს საშუალება აქვს, დაბლოკოს თუნდაც ერთი რიგითი მღვდლის ხარისხში აყვანა და სხვაგან გადაყვანა მისი დასტურის გარეშე; ასევე, ნებისმიერ მღვდელმსახურს შეუძლია, თავისი იერარქიის გვერდის ავლით მიმართოს ამ მოხელეს გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით. ცხადია, ეს დაუშვებელია, რეალურად, ეკლესია დაქვემდებარებულ მდგომარეობაშია. ძალიან მარტივი იყო ასეთი პოლიტიკის წარმოება რეჟიმის მიერ, რადგან ეს არ ეხებოდა მოსახლეობის დიდ მასას, სულ რამდენიმე საქაღალდე ჰყოფნიდა თითოეული ეკლესიის რიგითი მორწმუნეების აღრიცხვას, რომლებიც ღიად აფიქსირებდნენ, რომ ეკუთვნოდნენ რომელიმე ეკლესიას. ძალიან ცოტანი იყვნენ მღვდელმსახურებიც და მორწმუნეებიც და ეს გრძელდება 1988-89 წლამდე.

**— 1924 წლის აჯანყება და სამღვდელოების დევნა კიდევ გასაგებია, ამას მოჰყვა 1937-38 წლების გენერალური წმენდა, მაგრამ უკვე 1939- 40 წლებში რატომ იჭერენ სამღვდელო პირებს, ეს რით აიხსნება?**

— ეს შედარებით იშვიათი მოვლენაა, 1944 წლის შემდეგ თითებზე ჩამოსათვლელი რამდენიმე ფაქტია, რაც მღვდელმსახურთა დაპატიმრება-რეპრესიას შეეხება. ამ გვიან პერიოდში სამღვდელოებას თითქმის არ ხვრეტდნენ და ესეც ბურუსით მოცულია, რადგან დოკუმენტები თითქმის ხელმიუწვდომელია ჩვენი სახელმწიფოს საარქივო პოლიტიკის გამო. ერთი ასეთი ყველაზე ცნობილი საქმეა 1983 წელს თვითმფრინავის ბიჭების საქმეზე მღვდელ თეიმურაზ ჩიხლაძის დახვრეტის ფაქტი. 1944 წლის შემდეგ იშვიათია დაჭერები, თუმცა არის გამონაკლისი, მაგალითად, გაიოზ კერატიშვილის დაჭერა, რომელიც იყო პატრიარქობის პრეტენდენტი. როდესაც დავით მეხუთე გარდაიცვალა, გაიოზ კერატიშვილი საპატრიარქო ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტი იყო, მაგრამ დამარცხდა ამ ბრძოლაში და აირჩიეს ილია მეორე. შემდეგ კერატიშვილი მალევე დააპატიმრეს საეკლესიო ქონების მითვისებისთვის. ეს ბნელით მოცული ამბავია და ამ ფაქტის შესახებ ბევრი ვერსია არსებობს. თუმცა დღეს თითქმის შეუძლებელია ამ პერიოდის კვლევა, რადგან სახელმწიფო ამბობს, რომ 1943-44 წლების მერე ყველა დოკუმენტაცია ადამიანების შესახებ პერსონალური ინფორმაციითაა სავსე, ამიტომ სახელმწიფოს პოზიციაა, ან წავშლით ყველაფერს და მერე ნახეთ ასლები, ან არ მოგცემთ ამ დოკუმენტებსო. ასე რომ, დარჩენილი ვართ იმ წყაროების ამარა, რისი ნახვაც მოვასწარით. ამის შემდეგ რეპრესიების გამონაკლისი შემთხვევა შეიძლება ყოფილიყო და ეს მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას არ ეხება, ამ დროს სახელმწიფოს ასეთი პოლიტიკა აქვს აღებული. კერძოდ, კანონმდებლობით, სინდისი თავისუფალია და ყველა ადამიანს შეუძლია, რელიგიური იყოს. რელიგიურ ორგანიზაციებს აქვთ გარანტია იმისა, რომ მათი მოქმედება დაცული იქნება. სახელმწიფო ქმნის ყველა რაიონში, ქალაქის უბანში სპეციალურ კომისიებს, რომლებშიც თვალყური უნდა ადევნონ, რომ ეს კანონმდებლობა არ დაირღვეს და არ შეავიწროონ მორწმუნეები. თუმცა რეალურად ეს ჯგუფები პირიქით აკეთებენ, ანუ აკონტროლებენ, თუ ვინ არის აქტიური მორწმუნე, ვინ მონაწილეობს საეკლესიო რიტუალებში. რეალურად, კანონი თითქოს თქვენ არავინ არაფერს გავნებთ, ფიქციაა და პირიქით ხდებოდა: ვინც საეკლესიო რიტუალებში მონაწილეობდა, მათ უფლებებს ზღუდავდნენ.

**მანანა ნოზაძე**

◉ დრამატული მედიცინა

# მე-20 საუკუნის ჭირი

**სნეულებას, რომელიც თანდათანობით დიდ სოციალურ პრობლემად იქცევა — ალცჰაიმერის დაავადებას „მე-20 საუკუნის ჭირს“ უწოდებენ. ამერიკელი ნეირობიოლოგისა და ნევროლოგის, პროფესორ დეილ ბრედესენის წიგნში „უბერებელი თავის ტვინი“, ასეთი აზრია გატარებული: ნახევარი საუკუნის შემდეგ (შესაძლოა, უფრო ადრეც) მთელი მსოფლიო შესაძლოა „ჰოგევეიკის პლანეტად“ იქცეს.**



ჰოგევეიკი — ესაა ჰოლანდიაში ქალაქ როტერდამის მახლობლად მდებარე სოფელი, სადაც 16 ჰექტარის მიწის ნაკვეთზე 23 საცხოვრებელი კორპუსი, საკონცერტო დარბაზი, პატარა თეატრი, რესტორანი, კაფე, საფოსტო განყოფილება და ა.შ. არის განთავსებული.

მთელ ტერიტორიაზე აუარება კლუმბაა, სადაც ათასობით ტიტაა გაშენებული, მოწყობილია ჩრდილიანი ალეებით დასერილი პარკი, სადაც მომაჯადოვებლად გაისმის ჩიტუნების ჟღურტული... აქაურ მცხოვრებთა საშუალო ასაკია 80 წელი, მთლიანად კი ჰოგევეიკში 152 კაცი ცხოვრობს და ყველანი ალცჰაიმერის საშინელი სენითაა შეპყრობილი, რომელსაც ყოველთვის მოსდევს **დემენცია,** ანუ ხანდაზმულობის გონებასისუსტე. ამდენად, ჰოგევეიკი**, არსებითად, სოფლად შენიღბული ფსიქიატრიული კლინიკაა.**

152 პაციენტზე აქ 200 კაცი მომსახურე პერსონალია, რომელნიც ავადმყოფების ყოველ ნაბიჯს აკონტროლებენ. არც ერთი მათგანი თეთრ ხალათს არ ატარებს, ეს კატეგორიულად დაუშვებელია, თუმცა ყველანი — დაწყებული ოფიციანტით და დამთავრებული მთავარი ექიმით — საგანგებო მომზადების მქონე კვალიფიციური ფსიქიატრია. ავადმყოფები პერსონალს სახლის მეზობლებად აღიქვამენ, თუმცა კი უმალ ავიწყდებათ, ვინ ვინ არის. საცხოვრებელ კორპუსებში ოთახების კარებს საკეტები არა აქვს, თუმცა კი თავად კლინიკის ტერიტორია მაღალი ღობითაა გარშემოვლებული. აქ თითოეული კვადრატული მეტრი სათვალთვალო კამერების სამიზნეშია ამოღებული. ჰოგევეიკში მოხვედრა მხოლოდ მკურნალი ექიმის საგანგებო მიმართვის საფუძველზე შეიძლება. **თითოეული პაციენტის შენახვა ყოველთვიურად რვა ათასი ევრო ჯდება.**

მოკლედ, „პლანეტა ჰოგევეიკი“ საუცხოო თემაა ფანტასტიკური ფილმისთვის! აქაური საცხოვრებელი ოთახები, მაღაზიების, სხვა საზოგადოებრივი ადგილების ინტერიერები, მოკლედ, ყველაფერი რეტროს სტილშია, არავითარი ტექნო — ყველაფერი ისეა მოწყობილი, როგორც პაციენტების ახალგაზრდობაში იყო — იგივე ავეჯი, ფარდები, სამოსელი, წიგნები და ჟურნალები...

ექიმები ამბობენ, რომ **ჩვეული, საკუთარი წარსულიდან აწმყოში ამოსული გარემო, მართალია, დემენციას ვერ კურნავს, სამაგიეროდ, მის განვითარებას საგრძნობლად ამუხრუჭებს: სიბერე არ იკურნება, თუმცა კი დაბერების პროცესის წარმატებით შენელება სავსებით შესაძლებელია.**

* * *

**სტატისტიკით** დადასტურებული ფაქტია: კაცობრიობა ბერდება. ყველაზე სწრაფად მზარდი პოპულაციაა 80 წლის ასაკს გადაცილებული ხალხი. მაგალითად, სადღეისოდ იაპონიაში ასი წლის ასაკს გადაცილებული უკვე 80 ათასი კაცია. საფრანგეთში საუკუნის ასაკს 21 ათასმა კაცმა გადააბიჯა. ასეთი მოსკოვში ასეთი ას კაცზე მეტია, თუმცა კი გერონტოფსიქიატრების ცნობით, რუსეთში დემენციით დაახლოებით 20 მილიონი მოხუცია დაავადებული. ხელისუფლებამ ეს ციფრი ოფიციალურად რომ აღიაროს, ეს უახლოეს 20-30 წელიწადში ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის საყოველთაო კრიზისს გამოიწვევდა.

2010 წელს ალცჰაიმერის დაავადების დიაგნოზი 36 მილიონ კაცს ჰქონდა დასმული, 2015 წელს — 46,8 მილიონს, 2030 წელს ასეთ ავადმყოფთა რიცხოვნობა 74,7 მილიონს მიაღწევს, 2050 წლისთვის — 130 მილიონს. **ეს დაავადება ინფექციური რომ ყოფილიყო, საქმე უდავოდ, ეპიდემიასთან გვექნებოდა. აქედან გამომდინარე, ეს წმინდა წყლის სამედიცინო სნეულება დღესდღეობით მწვავე სოციალურ პრობლემად იქცა.** უბედურება ასევე ისაა, რომ მედიკოსებიც დემენციას ზერელედ უქცერენ, რისი მიზეზიც ისაა, რომ ამ ავადმყოფობას არა აქვს ეფექტიანი მედიკამენტოზური საშუალებები, ყველაფერთან ერთად კი ასევე განსასაზღვრია დაავადებული პირის ქმედუნარიანობა და, მაშასადამე, სოციალური ხარჯის ოდენობა.

ჩვენში ამ პრობლემას ამძაფრებს სპეცილიზებულ დაწესებულებათა აშკარად არასაკმარისი რიცხვი, სათანადოდ მომზადებული პერსონალის კატასტროფული დეფიციტი, პაციენტებსა და მომვლელებზე გათვლილი სოციალური შეღავათების სისტემაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! სხვა თუ არაფერი, მარტო ბოლო წლებში საქართველოს ფსიქიატრიულ კლინიკებში ავადმყოფების გაუსაძლისი ყოფის გამო აგორებული სკანდალები გავიხსენოთ! ჰოგევეიკის ტიპის „სამოთხეებზე“ ლაპარაკი სულაც ზღაპარია!

არადა, ალცჰაიმერის სნეულებით დაავადებული პაციენტი თავის ირგვლივ ემოციურად ყველას „წვავს“, „ფერფლად აქცევს“. ტერმინიც კი არსებობს — „ამოწვის სინდრომი“, რომელიც ავადმყოფის მომვლელებს ემართებათ. ბოლო მონაცემებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში კარდიოლოგიის ხარჯი 14 პროცენტით შემცირდა, დემენციით დაავადებულთა მოვლის ხარჯი კი 85 პროცენტით გაიზარდა!

თავდაპირველად დემენცია მოხუცების ქცევაში გარკვეული ცვლილებებით იწყება, მაგრამ შემდეგ მეხსიერების პროგრესირებად მოშლას ხასიათის ყოვლისმომცველი ცვლილებები მოჰყვება: **ასეთი ავადმყოფისთვის თვალის მოცილება წამითაც არ შეიძლება!** ამიტომ, ჯანმრთელი ხალხი იძულებული ხდება გიჟის კანონებით იცხოვროს, რაც წარმოუდგენლად ძნელია. არადა, ასეთ ავადმყოფთა რიცხოვნობის ზრდასთან ერთად, **აუცილებელია, რომ სახელმწიფომ უკლებლივ ყველა მიმართულებით შესაბამისი კანონმდებლობის ჯერ დამუშავებაზე, შემდეგ კი შემოღებაზე იზრუნოს.** თორემ დღესდღეობით მდგომარეობა ისეთია, რომ დემენციით დაავადებულზე მზრუნველობის შემოსაღებად აუცილებელია თავად ავადმყოფის თანხმობა(!)

ამაზე დიდი აბსურდის წარმოდგენა კი, უბრალოდ, შეუძლებელია.

**ნინო ალექსანდრია**

# სიმსუქნის პარადოქსი

**მედიკოსებმა უკვე შეგვაჩვიეს აზრს, რომ სიმსუქნე ორგანიზმისთვის საზიანოა, მაგრამ ბოლო დროს მეცნიერებმა ჭარბი წონის დადებითი მხარეებიც აღმოაჩინეს.**

ამ ფენომენს „სიმსუქნის პარადოქსი“ უწოდეს და იმდენად დიდ წინააღმდეგობაშია თანამედროვე მედიცინაში დამკვიდრებულ შეხედულებებთან, რომ მეცნიერები დიდ საგონებელში არიან. ათი წლის წინათ მკვლევარებმა დაადგინეს, რომ პირველი ხარისხის სიმსუქნისა და სხეულის ჭარბი მასის მქონე ადამიანები, რომელთაც ეგრეთ წოდებული „წინასიმსუქნე“ აქვთ, ნორმალური წონის მქონეებზე მეტ ხანს ცოცხლობენ. მერე აღმოჩნდა, რომ **სიმსუქნე არ აუარესებს გულის ქრონიკული უკმარისობის პროგნოზს.** ასეთი პროგნოზი უფრო კარგია ასევე გულის იშემიური დაავადებისა და მიოკარდის ინფარქტის დროსაც. აშკარად ჭარბი წონის ადამიანები უფრო დიდხანს ცოცხლობდნენ, ინფარქტის დროს სიკვდილიანობა მათ შორის უფრო ნაკლებია, ინსულტის დროს გადარჩენა კი — მეტი. გარდა ამისა, ისინი უკეთ იტანენ შუნტირების ოპერაციებს, გულ-სისხლძარღვებში სტენტების დაყენებას და ამის შემდეგ უფრო მეტხანს ცოცხლობენ, ვიდრე ნორმალური წონის ადამიანები. აქამდე, მედიკოსებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ჭარბი წონა ზრდიდა მეორე ტიპის დიაბეტის განვითარებას, ჰიპერტონიისა და გულ-სისხლძარღვთა სხვა დაავადებათა რისკს.



ამასთან, ძნელია იმის უარყოფაც, რომ ჭარბი წონა ხელს უწყობს ჰიპერტონიას, გულის იშემიური დაავადების განვითარებას, ინფარქტებისა და ინსულტების წარმოშობას.



# ჭურჭლის რეცხვა სტრესს ამარცხებს

**ადამიანების დიდი ნაწილისთვის ჭურჭლის რეცხვა ერთ-ერთი ყველაზე უსიამოვნო საქმეა, მაგრამ გირჩევთ, ეს საქმე შეიყვაროთ, რადგანაც ახალი კვლევის მიხედვით, ის გვეხმარება განტვირთვაში და დამღლელი დღის ბოლოს სტრესის დაძლევის საუკეთესო საშუალებაა.**

ფლორიდის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, დამღლელი დღის ბოლოს თუ ჭურჭელს გარეცხავთ, სტრესისგან გათავისუფლდებით, გონებას დაასვენებთ და თავს უფრო კარგად იგრძნობთ. მეცნიერების თქმით, ჭურჭლის რეცხვით ადამიანები ისე თავისუფლდებიან სტრესისგან და დეპრესიისგან რომ ამის შესახებ წარმოდგენა არ აქვთ.

ადამიანის განწყობაზე განსაკუთრებით დადებით გავლენას ახდენს ჭურჭლის სარეცხი საშუალების სუნი და წყლის ტემპერატურა.

მკვლევარების თქმით, განსაკუთრებულ სარგებელს ჭურჭლის რეცხვით მაშინ მიიღებთ, თუ მთლიანად კონცენტრირდებით ჭურჭლის რეცხვაზე და არაფერზე არ იფიქრებთ — „ასეთ შემთხვევაში თქვენი გონებიდან ყოველგვარი ნეგატივი განიდევნება, პოზიტივით ივსებით, სასიამოვნო განცდა გაქვთ და თავს კარგად გრძნობთ“, — ამბობენ მკვლევარები.

კვლევის მიხედვით, ჭურჭლის რეცხვა დადებითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. ამ დროს 27%-ით უფრო მშვიდები ხდებით და 25%-ით უფრო მდგრადები ხართ ფსიქოლოგიურად.

## რაგბი ჩვენი თამაშია!

# ევროპა შევინარჩუნეთ

**საქართველოს 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა ზედიზედ მეხუთედ იასპარეზა თანატოლთა ევროპის ჩემპიონატის ფინალში და შარშან მოპოვებული წოდება შეინარჩუნა. 2015 წელს „უმცროსი ბორჯღალოსნები“ გადამწყვეტ რაუნდში ფრანგებთან დამარცხდნენ, მაგრამ ინგლისი, იტალია, ირლანდია, უელსი და შოტლანდია ჩამოიტოვეს, რის შემდეგაც ამ ხუთეულმა მსგავს ფორუმებში მონაწილეობაზე უარი თქვა.**

2016-2017 წლებში ფრანგებმა სატიტულო მატჩებში ისევ აჯობეს ქართველებს და პირველი ადგილები დაიკავეს, მაგრამ შარშან პოლონეთში ჩვენებმა რევანში აიღეს – 8:3 მოუგეს „სამფეროვნებს“ და მათაც დატოვეს ტურნირი. წლეულს რუსულ კალინინგრადში რვა გუნდი შეიკრიბა. სასტარტო მატჩში ქართველებმა გერმანელები დაჯაბნეს – 46:0. ხოლო ნახევარფინალში უარეს დღეში ჩააგდეს რუმინელთა მძლეველი მასპინძლები – 64:10 მოუგეს. ზედიზედ ორ ბრძოლაში მიაღწიეს წარმატებას წინა წლის ბრინჯაოს პრიზიორმა ესპანელებმაც – ჰოლანდია (37:0) და პორტუგალია (20:5) ჩამოიშორეს გზიდან.

**ფინალურ შეხვედრას 8 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. მართალია, პირენეელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს „ბორჯღალოსნებს“, მაგრამ საბოლოოდ მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ. დავით ჩავლეიშვილის შეგირდებმა პირველი ტაიმი 6:10 დათმეს, თუმცა შესვენების შემდეგ ხელთ იგდეს ინიციატივა, ორი ლელო გაიტანეს ზუსტი გარდასახვებით და 20:10 გაიმარჯვეს. საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დათო ნინიაშვილი (ხვამლი), ლევან ქუშაშვილი (ლელო), ზაურ ლუტიძე (ხვამლი), გივი ცინცაძე (არმაზი), თემურ კოხოძე (აია), დაჩი პაპუნაშვილი (არმია), ლუკა მატკავა (არმაზი); დათო აბდუშელიშვილი (ლელო), ლუკა პეტრიაშვილი (ხვამლი), ალექსანდრე ქუნთელია (ლელო), ლუკა ჩქარეული (ლელო), ტატო გვიმრაძე (ხვამლი), ლუკა ივანიშვილი (წიქარა), თორნიკე ზაქარიაძე (ლელო), გიორგი ქობალია (ლელო);** მარქაფა: **ნუგზარ სომხიშვილი (არმია), საბა ხონელიძე (აია), ირაკლი მჭედლიძე (ლელო), ლუკა მაჭარაშვილი (არმაზი), რობი ნერსეზაშვილი (ლელო); ფრიდონ წიკლაური (ხვამლი), გიორგი ყუფარაძე (ლოკომოტივი), ბესო თაყნიაშვილი (ხვამლი), ლუკა ხეხელაშვილი (ლელო), ლევან ბრაგვაძე (არმაზი), ლაშა კაკაურიძე (ხვამლი),** მთავარი მწვრთნელი **დავით ჩავლეიშვილი,** მწვრთნელები – **მიხეილ სუჯაშვილი, ლევან შარვაშიძე.**

**გივი გაგუა**




# „ბათუმი“ მეტოქეს ელოდება

**დასასრულს უახლოვდება საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი. დიდი 10-ის სატიტულო მატჩი 12 მაისს ბათუმში გაიმართება, რაც მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ზღვისპირელებმა შესარჩევ ფინალში რუსთავის „ხარებს“ სძლიეს – 32:10 და გადამწყვეტი პაექრობის მასპინძლობის უფლებაც დაიბევეს. საგულისხმოა, რომ ბათუმში მსგავსი დასკვნითი რაუნდი პირველად 2002 წელს მოეწყო, როცა ჩემპიონობისთვის ადგილობრივი გუნდები – „დათვები“ და „დათვები-2“ შეხვდნენ ერთმანეთს.**

წლევანდელ რეგულარულ გათამაშებაში რუსთავის „ხარებმა“ „ბათუმი“ ორჯერ დაამარცხა და შესარჩევ ფინალშიც წარმატებას ელოდა, მაგრამ აჭარლებმა სტუმართა ოცნებას ცივი შხაპი გადაავლეს – შერკინებაში თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა, მეტოქე დააჯარიმეს და მამუკა ნინიძემ ანგარიში გახსნა. მე-13 წუთზე მანვე ანგარიშში სხვაობა 10 ქულამდე გაზარდა – თავისივე ლელო უნაკლოდ გარდასახა. მართალია, პირველ ტაიმში რუსთაველმა ნატრიაშვილმა ლელო გაიტანა და სხვაობა ხუთი ქულით შეამცირა, მაგრამ შესვენებამდე ზღვისპირელებმა კიდევ ორჯერ გამოიჩინეს თავი – 22:5.

მეორე ტაიმში უფრო თანაბარი ბრძოლა იყო, თუმცა „ბათუმმა“ აქაც დაუმტკიცა ქვემოქართლელებს, რომ სარევანშოდ მზად იყო და მიზანსაც მიაღწია: ტაიმი 10:5, ხოლო შეხვედრა 32:10 მოიგო და მთავარ ფინალში გავიდა, სადაც მარნეულის „არმაზსა“ და რუსთავის „ხარებს“ შორის უძლიერესთან გაარკვევს ურთიერთობას.

მარნეულელებმა მცირე ფინალში (ეს პაექრობა 5 მაისს რუსთავში გაიმართება) თამაშის უფლება მას შემდეგ მოიპოვეს, რაც მოქმედ ჩემპიონ თბილისის „ლოკომოტივს“ დაძაბულ მატჩში 21:20 აჯობეს. ამ წარმატებით „არმაზმა“ სულ მცირე - ბრინჯაოს მედლები დაიბევა.

**ლაშა დიდია**

## დარასელიას თასი

# სამშობლოში – პირველად

**წლეულს საქართველოს დედაქალაქმა პირველად უმასპინძლა ვიტალი დარასელიას თასის გათამაშებას და თბილისის „დინამომ“ პრესტიჟული პრიზი პირველად დატოვა სამშობლოში.**




უკვე გაუწყეთ, რომ ჯგუფური რაუნდი „თეთრ-ლურჯებმა“ უდანაკარგოდ განვლეს, თანაც ისე, რომ ერთი გოლიც კი არ გაუშვიათ.

შთამბეჭდავად ითამაშეს ჩვენმა ბიჭებმა ნახევარფინალშიც, სადაც როტერდამის „ფეიენოორდი“ 5:1 გაანადგურეს, სატიტულო ბრძოლა კი „ემპოლის“, პირველი ეტაპის მსგავსად, ამჯერადაც 1:0 მოუგეს. „ოქროს“ გოლი გიორგი ჩხეტიანის დიდოსტატური გარღვევის შემდეგ ჯადული იობაშვილმა გაიტანა.

გამარჯვებულთა შემადგენლობა: **ჯოჯუა, გოგოტიშვილი, გაფრინდაშვილი, ხვადაგიანი, ჩხეტიანი (გოგებაშვილი), გაგნიძე, თოდუა (შიოლაშვილი), გეგიაძე, იობაშვილი, აბუაშვილი, კვერენჩხილაძე (ბაგრატიონი).**

მატჩი III ადგილისათვის: „ფეიენოორდი“ – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აკადემია 2:1.

ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დინამოელთა ნახევარმცველი ლუკა გაგნიძე დაასახელეს.

**გიორგი შოთაძე**

## ნბა-ს დრაფტი

# ხუთეულის ნაკვალევზე



**ვლადიმერ სტეფანიას, ნიკოლოზ ცქიტიშვილის, ზაზა ფაჩულიას, ვიქტორ სანიკიძისა და თორნიკე შენგელიას შემდეგ ადრიატიკის ლიგის ფინალისტი გოგა ბითაძე მეექვსე ქართველი კალათბურთელი იქნება, რომელიც 20 ივნისს ნბა-ს დრაფტში მიიღებს მონაწილეობას და სწორედ ამ დღეს შევიტყობთ, თუ რომელი კლუბი რომელ ნომრად აიყვანს ჩვენს იმედს.**

„ბუდუჩნოსტის“ ერთ-ერთი ლიდერის მიერ ნბა-ს ოფისში შესაბამისი შინაარსის ოფიციალური განაცხადის შეტანის თაობაზე ინფორმაციას „ესპიენი“ ავრცელებს, რომელმაც „ჯვაროსანს“ საკუთარ სადრაფტო რეიტინგში დიდი ნდობა გამოუცხადა და მსოფლიოში საკმაოდ საპატიო მე-19 პოზიცია მიაკუთვნა.

დავძენთ, რომ ევროლიგის ჭაბუკი ვარსკვლავის საშუალო მონაგარი ამ სეზონში 12 ქულა, 6 მოხსნა და 2 დაფარებაა 24 წუთში.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ფარიკაობა

# კორეისთვის ემზადებიან

**26-28 აპრილს კორეაში მოხმალავეთა გრან პრი გაიმართება ერთეულებში. ეს ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიადისთვის პირველი სალიცენზიო ტურნირია და რეიტინგის გასამდიდრებლად პლანეტის უძლიერესი მოფარიკავეები შეიკრიბებიან. მათ შორის საქართველოს ხუთი მუშკეტერი იქნება – სანდრო და ბექა ბაზაძეები, მიხეილ მარდალეიშვილი, თეოდორა კახიანი და ლიკა ჯიჯეიშვილი ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელ სერგო ხატიაშვილისა და მოხმალავეთა მწვრთნელ ალექსანდრ ტორჩუკის ხელმძღვანელობით.**

ამ ხუთეულიდან საქართველოს ჩემპიონატში ორს არ უასპარეზია: ბექა ბაზაძე ტრავმამოუშუშებელია და რისკს მოერიდნენ, კახიანი კი ამერიკაში ემზადება პირად მწვრთნელთან და აზიაშიც იქიდან ჩაფრინდება. რაც შეეხება საქართველოს პირველობას, ოლიმპიური ჩემპიონ ნუგზარ ასათიანის სახელობის ფარიკაობის დარბაზში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის 150-მდე წარმომადგენელმა მოიყარა თავი. დაძაბული პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკზე ავიდნენ:

**ხმალი.** ქალები. **1. ლიკა ჯიჯეიშვილი, 2. ანა აფრასიძე, 3. ლიზი ბაციაშვილი (სამივე – თბილისი), თამარ ჩარკვიანი (ქუთაისი);** ვაჟები. **1. სანდრო ბაზაძე (ქუთაისი), 2. გოგა კაკაურიძე (თბილისი), 3. ვაჟა რეჭია, მიხეილ მარდალეიშვილი (ორივე - ქუთაისი).**

**რაპირა.** ქალები. **1. მარია ზაკირჩენკო (ქუთაისი), 2. ლიზა ლხინაძე, 3. ელენე ბორჩხაძე, მარიამ ტუღუში (სამივე – თბილისი);** ვაჟები. **1. ლუკა ღაღანიძე, 2. არჩილ უგულავა, 3. ლაშა გალუაშვილი (სამივე – თბილისი), ირაკლი მიქელაძე (აჭარა).**



**დაშნა.** ქალები. **1. მარია ზაკირჩენკო (ქუთაისი), მარიამ ზოიძე, 3. ევა აჰამიანი (ორივე – აჭარა), ნათია მაჭავარიანი (თბილისი, ხუთჭიდი);** ვაჟები. **1. გიორგი ქაფიანიძე (რუსთავი), 2. მიქაელ მიქაელიანი (თბილისი), 3. დავით არველაძე (ქუთაისი), დავით მაგრაქველიძე (თბილისი, ხუთჭიდი).**

**ლექსო ცინცაძე**

## ჰოკეი

# მარცხით დავიწყეთ

**საქართველოს ჰოკეის ეროვნული ნაკრები 2019 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის B დივიზიონში ჩაება და პირველი მატჩი გამართა. როლანდ სვანიძის გუნდი ჩრდილოეთ კორეის ნაკრებს დაუპირისპირდა და 4:9 დამარცხდა.**

მატჩის პირველი პერიოდი საქართველოს ნაკრებმა ძალიან კარგად ჩაატარა. მე-6 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც არტიომ კოზიულინმა გახსნა ანგარიში. შემდეგ კორეელებმა ორჯერ გაიტანეს და წინ გავიდნენ, თუმცა პერიოდის მიწურულს ალექსანდრე ვასილჩენკომ წონასწორობა აღადგინა, 2:2.

მეორე პერიოდი საქართველოს ნაკრებმა ბრწყინვალედ დაიწყო და მოკლე მონაკვეთში 4:2 დაწინაურდა. ჯერ ბორის კოჩკინმა გამოიჩინა თავი, შემდეგ კი სემიონ ხარიზოვმა. სამწუხაროდ, ამის შემდეგ უკვე აზიელები დომინირებდნენ და 7 უპასუხო შაიბა გაუტანეს საქართველოს ნაკრებს. როლანდ სვანიძის გუნდი მესამე პერიოდში გატყდა, როდესაც ჰოკეისტებს დალლა დაეტყოთ. საბოლოოდ 4:9 კორეელების სასარგებლოდ.

B დივიზიონის მატჩები მექსიკაში იმართება, საქართველოს ნაკრები კი ჩრდილოეთ კორეის გარდა, მასპინძელ მექსიკას, ახალ ზელანდიას, ისლანდიას და ისრაელს უწევს კონკურენციას. A ჯგუფში გადასასვლელად ჯგუფის მოგებაა საჭირო, თუმცა როგორც popsport.com-თან ინტერვიუში საქართველოს ნაკრების ლიდერმა ოლივერ ობოლგოგიანმა განაცხადა, გუნდის რეალური მიზანი B დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაა, ამისთვის კი ორი გამარჯვება იქნება საკმარისი. მომდევნო შეხვედრას საქართველოს ნაკრები კობა კობახიძე მექსიკასთან გამართავს.

**კობა კობახიძე**



# განცხადება

## 63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის №20-T-02 კონსერვაციის მომსახურების და 63 მვა 400 კვ ტრანსფორმატორის №20-T-01 ტექნიკური მდგომარეობის შეფასების მომსახურების შესყიდვის შესახებ, კონვერტორულ სადგურში: „ახალციხე-500“

შპს „ენერგოტრანსი“ აცხადებს 63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის #20-T-02 კონსერვაციის მომსახურების და 63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის #20-T=01 ტექნიკური შეფასების მომსახურების შესყიდვის ტენდერს, ახალციხის (ახალციხე-500/400/220) კონვერტორულ სადგურში.

სატენდერო პროცედურა ჩატარდება შპს „ენერგოტრანსის“ „საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვეის რეგულაციების“ შესაბამისად.

მომსახურების მიზანს წარმოადგენს ტრანსფორმატორის (ქარხნული ნომრით# 30T110119.02) მოქმედი ნაწილების და ასაწყობი ნაწილების კონსერვაცია, საიზოლაციო დეტალების, საშუალო ძაბვის და დაბალი ძაბვის ელ. გრაგნილების და მაგნიტური სადენის დაცვის მიზნით, ახალციხის (ახალციხის-500/400/220) კონვერტორულ სადგურში.

მომსახურება მოიცავს შემდეგ საქმიანობას:

| N | მომსახურების ტიპი | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| I | **ტრანსფორმატორის შემოწმება, #20-T-02 და დასკვნის მომზადება** | ლოტი | 1 |
| II | **63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის, #20-T-02 კონსერვაცია (მხოლოდ დადებითი დასკვნის შემთხვევაში)** | | |
| 1 | მოსამზადებელი სამუშაოები | ლოტი | 1 |
| 2 | ტრანსფორმატორის მაგნიტური სადენის აწყობა | ლოტი | 1 |
| 3 | ბარიერის და ელ. უღელის იზოლაციის კონსერვაცია | ლოტი | 1 |
| 4 | მოქმედი ნაწილის მონტაჟი ავზში | ლოტი | 1 |
| 5 | მოქმედი ნაწილის კონსერვაცია ტრანსფორმატორის ავზში | ლოტი | 1 |
| 6 | ასაწყობი ნაწილების კონსერვაცია | ლოტი | 1 |
| III | 63 მვა, 400 კვ ტრანსფორმატორის #20-T=01 ტექნიკური მდგომარეობის შეფასება ახალციხის (ახალციხე-500) გარდამქმნელ ქვე-სადგურში | ლოტი | 1 |

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველი, ზეთის დაღვრის აღმოფხვრის გარანტიით, შემსყიდვლის მიერ მომსახურების მიღებიდან 12 თვის განმავლობაში.

ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ 1 თვიდან 2 თვემდე დროის მონაკვეთი, მომსახურების მოწოდებისთვის. მოწოდების დრო გათვალისწინებული იქნება, როგორც შეფასების კრიტერიუმი, 0.3 ქულის ოდენობით. ტენდერის იმ მონაწილეებს, რომელთა შემოთავაზების მიხედვით, მომსახურების მოწოდება გათვალისწინებულია 1 თვის ვადაში, მიენიჭებათ მაქსიმალური - 10 ქულა.

აღნიშნული მომსახურებისთვის წარმოდგენილ ფასში გათვალისწინებული უნდა იყოს აღნიშნულ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სახის ხარჯები. ფასებში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

ფაქტიურად შესრულებული მომსახურების (ფასების ცხრილის მიხედვით) ანაზღაურება განხორციელდება ლარში, საბანკო გადარიცხვის გზით, მომსახურების დასრულებაზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი ინვოისის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.

ტენდერის მონაწილის გამოცდილება სატენდერო მოთხოვნების მიხედვით: ტენდერის მონაწილე უნდა ფლობდეს 400 (500) კვ ტრანსფორმატორების წარმოების და/ან შეკეთების მინიმუმ ხუთ (5) წლიან გამოცდილებას. სავალდებულოა ტენდერის მონაწილის, როგორც მწარმოებლის და/ან შემკეთებლის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა (ისეთი დოკუმენტები, როგორის არის წარმოებული და შეკეთებული ტრანსფორმატორების ნუსხა, კონტრაქტის და მიღება-ჩაბარების აქტების ასლები და სხვ.).

ფასის კლების ბიჯი ზეპირი ვაჭრობის (შემდგომში: „ბიჯი“) დროს შეადგენს 4,000.00 ლარს (ოთხი ათასი). ზეპირი ვაჭრობის (ბიჯი) ჩატარების ადგილი: ბარათაშვილის ქ. #2, 0105, თბილისი, საქართველო. შემსყიდველის ოფისი.

ტენდერის მონაწილეებმა საკუთარ სატენდერო წინადადებებთან ერთად უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადების გარანტია - **საბანკო გარანტია**. აღნიშნული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ტენდერის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას უნდა აღემატებოდეს მინიმუმ **30 კალენდარული დღით**. სატენდერო გარანტიის თანხა უნდა შეადგენდეს **სატენდერო წინადადების მინ. 3%.**

ტენდერის იმ მონაწილემ, რომელსაც შემსყიდველი გაუფორმებს კონტრაქტს, უნდა წარმოადგინოს შესრულების გარანტია - საბანკო გარანტია - **ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 %-ის ოდენობით.**

სატენდერო დოკუმენტის მისაღებად, დაინტერესებულმა და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციებმა უნდა გადაიხადონ არანაზღაურებადი 50 (ორმოცდაათი) ლარი, შპს „ენერგოტრანსის“ ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

**სს „თი-ბი-სი ბანკი“**
**კოდი: TBCBGE22**
**ბანკის ანგარიში: GE37TB7731436030100001**
**მოსარგებლე: შპს „ენერგოტრანსი“**
**მიზანი: სატენდერო დოკუმენტის საფასური ტენდერისათვის: T04 S 02-1/2019**

ზემოთ აღნიშნული, არანაზღაურებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო დოკუმენტის მიღება შესაძლებელი იქნება შპს „ენერგოტრანსის“ ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, შესყიდვის შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, 2019 წლის 13 მაისის 18:00 სთ-მდე.

**შემსყიდველის მისამართი:**
**შპს „ენერგოტრანსის“ მისამართი:**
**ბარათაშვილის ქ. #2,0105, თბილისი, საქართველო**
**ტელ: +(99532)2510391**
**ელ.ფოსტა** giorgi.chichinadze@energotrans.com.ge

ტენდერის მონაწილეების სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო ინფორმაცია ტენდერის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ზემოთ მითითებულ მისამართზე, არაუგვიანეს 2019 წლის 14 მაისის 15:00 საათისა, ადგილობრივი დროით. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2019 წლის 14 მაისის, ადგილობრივი დროით 15:00 სთ-ზე, ტენდერის იმ მონაწილეების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას. დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

სატენდერო წინადადება, ყველა საჭირო დოკუმენტების ჩათვლით, წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე. სატენდერო წინადადების წარმოდგენა უნდა მოხდეს დალუქული კონვერტით, რომელზეც მითითებული იქნება შემდეგი ინფორმაცია: ვის: შპს „ენერგოტრანსის“ სატენდერო კომისიას, ტენდერის მონაწილის დასახელება, სატენდერო პროცესის დასახელება, ტენდერის # T04 S-02/2019.

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ტენდერის მონაწილეებმა საკუთარ სატენდერო წინადადებებთან ერთად, უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო ინფორმაცია:

**ტენდერის მონაწილეებმა საქართველოდან:**

**ა) ან იურიდიულმა პირებმა და კერძო სამართლის ინდივიდუალურმა მეწარმეება:**

1. სამეწარმეო და არა-სამეწარმეო (არა-კომერციული) იურიდიული პირების ამონაწერი რეესტრიდან;
2. საჯარო/სამართლებრივი შეზღუდვების სერტიფიკატი (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
3. ტენდერის მონაწილეების (საიდენტიფიკაციო) ინფორმაცია: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა.

**ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის:**

1. საჯარო/სამართლებრივი შეზღუდვები (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
2. ტენდერის მონაწილეების (საიდენტიფიკაციო) ინფორმაცია: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა.

**ც) ფიზიკური პირებისთვის:**

1. საჯარო/სამართლებრივი შეზღუდვები (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
2. ტენდერის მონაწილეების (საიდენტიფიკაციო) ინფორმაცია: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა.

**ტენდერის უცხოელი მონაწილეებისთვის:**

1. ტენდერის მონაწილის იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაცემული უნდა იყოს ტენდერის მონაწილის ქვეყნის შესაბამისი უწყების მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ტენდერის მონაწილეების (საიდენტიფიკაციო) ინფორმაცია: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა.

სატენდერო წინადადებები არ მიიჩნევა მისაღებად და არ დაექვემდებარება შემდგომ შეფასებას, იმ შემთხვევაში, თუ:

- ტენდერის მონაწილე არ წარმოადგენს ყველა სახის საჭირო დოკუმენტაციას (დამხმარე დოკუმენტაციასთან ერთად) და/ან ინფორმაციას, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო წარმოდგენას, მოცემული შესყიდვების განცხადების და სატენდერო დოკუმენტის მიხედვით;
- სატენდერო კომიიის მოთხოვნის საფუძველზე ტენდერის მონაწილე ვერ დააზუსტებს, დაასრულებს, წარმოადგენს, ან დაადასტურებს საკვალიფიკაციო ინფორმაციას, რაც გათვალისწინებულია შესყიდვების მოცემული განცხადების მიხედვით;
- ტენდერის მონაწილე უარს აცხადებს სატენდერო კომიტეტის მიერ მის სატენდერო წინადადებაში გამოვლენილი არითმეტიკული (მექანიკური) შეცდომების გასწორებაზე;
- სატენდერო წინადადება და/ან საკვალიფიკაციო ინფორმაცია არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენეტით და/ან მოცემული შესყიდვების განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- ტენდერის მონაწილე იყენებს არასამართლიან პრაქტიკას, შესყიდვების პროცესში;
- ტენდერის მონაწილის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები, ან სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი მონაცემები, ან მათი დამადასტურებელი დოკუმენტები, აღმოჩნდება ყალბი.

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის მონაწილის სატენდერო წინადადება შესაბამისობაშია სატენდერო დოკუმენტის ტექნიკურ მოთხოვნებთან, შესაძლებელი იქნება ტენდერის მონაწილის სატენდერო წინადადების დაზუსტება, ან დასრულება, ან მოთხოვნილი საკვალიფიკაციო ინფორმაციის ხელახალი წარმოდგენა, სატენდერო წინადადების არსის ცვლილების გარეშე, სხვა შემთხვევაში სატენდერო წინადადება არ მიიღება შესაფასებლად.

ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული სატენდერო წინადადებების მიღება არ არის ნებადართული.

დაინტერესებულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტს შემსყიდველის ოფისში, სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე.

მოცემული განცხადება შესყიდვის შესახებ ასევე გამოქვეყნდება შემსყიდველის ვებგვერდზე: www.energotrans.com.ge

დამატებითი ინფორმაცის მიღება შესაძლებელია შპს „ენერგოტრანსის“ ოფისში, ზემოთ მითითებულ მისამართზე.

**საკონტაქტო პირი:**

გიორგი ჭიჭინაძე, შესყიდვების სამსახურის უფროსი, ელ. ფოსტა: giorgi.chichinadze@energotrans.com.ge

**Annex #1**

# PROCUREMENT NOTICE FOR

## Procurement of Services for Conservation of 63 MVA, 400 kV Transformer, No. #20-T-02 and Evaluation of technical condition of 63 MVA, 400 kV, Transformer #20-T=01 at Converter Station Akhaltsikhe-500

"Energotrans" Ltd announces Bidding for Procurement of Services for Conservation of 63 MVA, 400 kV Transformer, No. #20-T-02 and Evaluation of technical condition of 63 MVA, 400 kV, Transformer #20-T=01 at Converter Station Akhaltsikhe-500/400/220.

The Bidding procedure will be conducted in accordance with the "Rule of Procuring goods, services and works by "Energotrans" Ltd.

The objective of the services is conservation of active parts and assembly units of Transformer with the Factory Number 30T110119.02 for protection of insulation details, MV (Medium Voltage) and LV (Low Voltage) windings and coil flux guide at Converter Station Akhaltsikhe-500/400/220.

The services comprise the following activities:

| N | Type of Service | Measurement Unit | Q-ty |
|---|---|---|---|
| I | **Inspection of Transformer, No. #20-T-02 and preparation of conclusion** | Lot | 1 |
| II | **Conservation of 63 MVA, 400 kV Transformer, No. #20-T-02 (only after positive conclusion)** | | |
| 1 | Preparatory works | Lot | 1 |
| 2 | Assembling of coil flux guide of Transformer | Lot | 1 |
| 3 | Conservation of barrier and yoke insulation | Lot | 1 |
| 4 | Installation of active part at the tank | Lot | 1 |
| 5 | Conservation of active part at the transformer tank | Lot | 1 |
| 6 | Conservation of assembling units | Lot | 1 |
| III | Evaluation of technical condition of 63 MVA, 400 kV, Transformer #20-T=01 at Converter Station Akhaltsikhe-500 | Lot | 1 |

The Contactor shall provide the Purchaser with warranty for the elimination of oil leakage within 12 months period after acceptance of services by the Purchaser.

The Bidders are allowed to propose delivery period of service from 1 months up to 2 months period. Delivery Term will be used as an evaluation criteria with the priority ratio of 0.3. Bidders offering service delivery within 1 month period will be awarded the maxim grade of 10 for this criteria.

The Price for above mentioned services shall be submitted considering all associated costs. The prices should comprise all taxes envisaged under Georgian Legislation.

The payment for the actually provided services (as per the Table of prices) will be made in GEL by bank transfer within 20 working days from the date of signing the Final Acceptance Certificate for completion of services and submission of relevant invoice.

Required experience of the Bidder: The Bidder should have at least five (5) years of experience in manufacturing and/or repairing 400 (500) kV transformers. Document proving Bidders experience in manufacturing and/or repairing shall be submitted (documents such as: list of produced and/or repaired transformers, supported by Contracts and Handover protocol's etc.).

Price reduction step during Oral trading (later "step") is GEL 4,000.00 (four thousand. The place for conducting the Oral Trading is: 2, Baratashvili Str., Tbilisi, 0105, Georgia, Office of the Purchaser.

The Bidders shall furnish with their Bid a Bid Security - **Bank Guarantee -** with the validity period of at least by **30 calendar days more** than the validity of the Bid submitted by Bidder. The amount of Bid Security shall be **3% of the bidder's bid.**

The Bidder who will be awarded the contract shall furnish a performance security – Bank Guarantee – in the amount of of **3% of the total contract price.**

For obtaining Tender Document the interested Entities shall pay non-refundable fee in the amount of GEL 50 (fifty) on the following bank account of "Energotrans" Ltd:

"TBC Bank" JSC
Code: TBCBGE22
Bank Account: GE37TB7731436030100001
Beneficiary: "Energotrans" Ltd
Purpose: Bidding Document fee for the Bidding: T04 S- 02/2019

Upon submission of document proving the payment of abovementioned non-refundable fee the Bidding Document shall be obtained in the office of "Energotrans" Ltd on the address indicated below from the date of Procurement Notice Publication until May 13, 2019, 18:00.

Address of the Purchaser:
Office of "Energotrans" Ltd
2, Baratashvili Str., Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +(99532)2510391 +995577907707
E-mail: giorgi.chichinadze@energotrans.com.ge

Bidders' Bids and Qualification Information shall be submitted by the Bidders on the address indicated above on or before May 14, 2019, 15:00 local time. The Bids will be opened on May 14, 2019, 15:00 local time in the presence of those Bidders who choose to attend. Late Bids will be rejected.

The Bid including all necessary documents shall be submitted in English language. The Bid shall be submitted in a sealed envelope indicating the following information: To: Bidding Commission of "Energotrans" Ltd, Name of the Bidder, Name of the Bidding Process, Bidding # T04 S02/2019.

For participation in the Bidding the Bidders should submit the following qualification information together with their Bid:

**For Georgian Bidders:**

**a) For legal entities and individual entrepreneurs of private law:**

1. Extract from the Register of Entrepreneurs and Non-Entrepreneurial (non-commercial) Legal Persons;
2. Certificate of public/legal restrictions (from National Agency for Public Registry)
3. Bidders (identification) details: address, ID code, bank details, telephone number, e-mail.

**b) For Legal Entities under Public Law:**

1. Certificate of public/legal restrictions (from National Agency for Public Registry)
2. Bidders (identification) details: address, I bank details, telephone number, e-mail.

**c) For physical persons:**

1. Certificate of public/legal restrictions (from National Agency for Public Registry);
2. Bidders (identification) details: address, ID code, bank details, telephone number, e-mail.

**For foreign Bidders:**

1. Document indicating legal status of the Bidder issued by the relevant body of the Bidder's country in accordance with the applicable law;
2. Bidders (identification) details: address, ID code, bank details, telephone number, e-mail.

The Bids will not be considered as acceptable and will not be allowed for further evaluation in the following cases:

- If the Bidder fails to submit all necessary documents (with supporting documentation) and/or information required by this procurement notice and Bidding Document;
- If in case of the request of the Bidding Commission the Bidder fails to specify, complete, submit or reconfirm the qualification information required by this procurement notice;
- If the Bidder refuses to correct arithmetical (mechanical) errors revealed in its Bid by Bidding Committee;
- If the Bid and/or qualification information are incompliant with the requirements prescribed in the Bidding Document and/or this procurement notice;
- If there is noted applying of unfair practice by the side of the Bidder in the process of procurement;
- Qualification data submitted by Bidder or the data given in the Bid, or the documents confirming them are found out to be false.

In case when the Bidder's Bid is in compliance with the technical requirements of the Bidding Document it is allowed to specify or complete the Bidder's Bid or re-submit required qualification information without changing the Bid's substance, otherwise The Bid will not be considered for evaluation.

The Bidder should submit only one Bid. Alternative Bids are not allowed.

Interested Legal entities may familiarize with the Bidding Document in the office of the Purchaser until the deadline for Bid submission.

This procurement Notice will be also published on the website of the Purchaser: www.energotrans.com.ge

Additional information could be obtained in the office of "Energotrans" Ltd at the address indicated above.

**Contact persons:**

Giorgi Chichinadze, Head of Procurement Service, E-mail: giorgi.chichinadze@energotrans.com.ge

**დანართი №1**

# განცხადება

## ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს ,,ენერგოტრანსი“ აცხადებს ტენდერს მაღალი გამავლობის ავტომანქანის (ამწე კალათით) შესყიდვაზე:

| # | საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | მაღალი გამავლობის ავტომანქანა (მინ. 31 მეტრიანი ამწე კალათით, თვლების ფორმულა 6x6) | 1 |

- საქონლის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და გაფორმების ხარჯის ჩათვლით.
- ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
- საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 180 კალენდარულ დღეში.
- პრეტენდენტის მატერიალაურ-ტექნიკური ბაზა: პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ავტორიზებული სერვის ცენტრი საქართველოში.
- საქონლის ხარისხის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- საქონლის საგარანტიო პირობები.
- პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს გამოცდილება შემოთავაზებული სპეცავტოტექნიკის მიწოდებისა და ტექნიკური მომსახურების (საგარანტიო პერიოდში) არანაკლებ ორი წელი, რაზედაც წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია მიწოდებული ანალოგიური სპეცავტოტექნიკისა და გაწეული ანალოგიური ტექნიკური მომსახურების შესახებ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში .
- პრედენტენტი უნდა იყოს მისაწოდებელი სპეცავტოტექნიკის მწარმოებელი ქარხნის ოფიციალური დილერი და უნდა წარმოადგინოს დილერობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია .
- სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი ზეპირი ვაჭრობისას (,,შემდგომში– ბიჯი“) – 3000 (სამი ათასი) ლარი.

**აუცილებელი პირობა:**

შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების 3%-ის ოდენობით. ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია) სახელშეკრულებო ღირებულების 3% -ის ოდენობით.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს ,,ენერგოტრანსის“ შემდეგ ანგარიშზე: სს ,,თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა # GE37TB7731436030100001 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა (ტენდერის № T-03 G-02/2019).

სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 50 (ორმოცდაათი) ლარიანი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს ,,ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2019 წლის 14 მაისის 18:00 საათამდე.

სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 2019 წლის 15 მაისის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს ,,ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2019 წლის 15 მაისის 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს ,,ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტები:

**ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ინდ. მეწარმეებისათვის:**

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
2. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
3. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

**ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის:**

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

**გ) ფიზიკური პირისათვის:**

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

**შენიშვნა: პრეტენდენტს არ უნდა გააჩნდეს ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა.**

ქვეკონტრაქტორი არ გამოიყენება.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისის ქვეყნის სათანადო ორგანოდან დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული ქართული თარგმანის სახით.

ყველა სავალდებულო დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით: **პრეტენდენტის დასახელება, შპს „ენერგოტრანსის“ სატენდერო კომისიას. ტენდერი № T-03 G-02/2019.**

სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პრეტენდენტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი (თანმხლები დოკუმენტების ჩათვლით) ან/და ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში _ ნიმუში;

ბ) თუ სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვერ შეძლებს ან არ მოახდენს სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტებას, შევსებას, წარდგენას ან ხელახალ დადასტურებას;

გ) თუ პრეტენდენტი არ დათანხმდება სატენდერო კომისიის მიერ მის სატენდერო წინადადებაში აღმოჩენილი მექანიკური შეცდომების გასწორებას;

დ) თუ სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ე) თუ შესყიდვის პროცედურების დროს ადგილი ექნება პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

ვ) თუ შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადების სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, დასაშვებია სატენდერო წინადადება დაზუსტდეს, შეივსოს ან წარდგენილ იქნეს სატენდერო განცხადებაში მოთხოვნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ან სატენდერო წინადადება მისი არსის შეუცვლელად, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, სატენდერო წინადადება შეფასებაზე არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის დროს, არ დაიშვება სატენდერო წინადადების ფასის გაზრდა.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება.

**ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, შპს ,,ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.**

აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადის დასრულებამდე ,,შემსყიდველ“ ორგანიზაციაში. განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ ასევე გამოქვეყნდება შემსყიდველის ვებ-გვერდზე: www.energotrans.com.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“.

საკონტაქტო **პირები:** შესყიდვების სამსახურის უფროსი **გიორგი ჭიჭინაძე** ტელ: 577907707 ელ. ფოსტა: giorgi.chichinadze@energotrans.com.ge.

**აღნიშნული ტენდერი ტარდება შპს ,,ენერგოტრანსის” მიერ საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის წესის შესაბამისად.**

## 30-მდე ღვინის ქარხანამ პირველი ქართული მშრალი საფუარი უკვე გამოსცადა



**სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტებმა ადგილობრივ მეღვინეებთანშეხვედრაზე ღვინის პირველი ქართული მშრალი საფუვრის სამეურნეო-ტექნიკურ მახასიათებლებზე პრეზენტაცია გამართეს.**

მეცნიერების მიერ შექმნილი საფუარი პრემიუმ ხარისხისაა და ის საქართველოში მოქმედმა 30-მდე ღვინის ქარხანამ უკვე გამოსცადა. შეხვედრაზე აღნიშნული საფუვრით დაყენებული ღვინოების დეგუსტაციაც მოეწყო.

**„საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა წარმატებით ვითარდება. ქვეყნისთვის, რომელსაც მეღვინეობის 8000-წლიანი უწყვეტი ისტორია აქვს, მნიშვნელოვანია ქართული კულტურული საფუარის არსებობა. ქართულ მშრალ საფუარზე მუშაობა წლების განმავლობაში, საქართველოსა და გერმანიაში მიმდინარეობდა, მისი პირველი საცდელი რაოდენობა 2017 წელს მივიღეთ“,** — აღნიშნა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ლევან უჯმაჯურიძემ.

ალსანიშნავია, რომ საქართველოში ღვინის დასაყენებლად ევროპის ქვეყნებიდან, ძირითადად კი, საფრანგეთიდან შემოტანილ საფუარს იყენებენ. საფუარი ღვინის ხარისხისა და მისი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას უწყობს ხელს, ამიტომ სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ქართული საფუარი ქართული ღვინის უნიკალურობას გამოკვეთს.

# ახალგაზრდული ორკესტრის საპრეზენტაციო კონცერტი

**მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის „თეატრალურ დარბაზში“ თბილისის ახალგაზრდული ორკესტრის საპრეზენტაციო კონცერტი გაიმართა.**

ახლადშექმნილმა ორკესტრმა, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი დირიჟორი მირიან ხუხუნაიშვილია, ხოლო დირექტორი — კომპოზიტორი და პროდიუსერი მიხეილ მდინარაძე, საზოგადოებას საკმაოდ რთული პროგრამა წარუდგინა. კონცერტზე ბეთჰოვენის, მოცარტის, შუბერტის მუსიკალური ნაწარმოებები შესრულდა.

ღონისძიებას დედაქალაქის მერის მოადგილე სოფიო ხუნწარია და თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი დაესწრნენ.



თბილისის ახალგაზრდული ორკესტრი, რომელიც 15-დან 28 წლამდე ასაკის მუსიკოსებს აერთიანებს, მუნიციპალური დაფინანსებით შეიქმნა.

ორკესტრი მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ისტორიულ დარბაზში კონცერტებს პერმანენტულად გამართავს.

# თბილისს ბორის ეიფმანის დასი ეწვია

**თბილისის მერიის მხარდაჭერით, ფესტივალის — „თბილისის რიტმი“ 2019 წლის სეზონს მსოფლიოში სახელგანთქმული „ეიფმანის სანკტ-პეტერბურგის საბალეტო თეატრი სპექტაკლით — „როდენი, მისი მარადი კერპი“ გახსნის.**

56-წევრიანი საბალეტო დასი თბილისს 21 აპრილს სრული შემადგენლობით ეწვია. სპექტაკლები 22 და 23 აპრილს, 20:00 საათზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება. ღონისძიებას დედაქალაქის მერის მოადგილე სოფიო ხუნწარია დაესწრება.

ბალეტი წამყვანმა კრიტიკოსებმა 21-ე საუკუნის შედევრად აღიარეს. მსოფლიოს პრესტიჟულ სცენებზე ბორის ეიფმანის საბალეტო დასის ქორეოგრაფია მაყურებელს ცეკვის თავისუფლებით, ცოცხალი დინამიზმითა და პლასტიკური აზროვნებით იზიდავს. თავად მაესტრო კი თანამედროვე ბალეტმაისტერთა შორის ლიდერად არის დასახელებული.




ბორის ეიფმანის ბალეტი „როდენი, მისი მარადი კერპი“ დიდი მოქანდაკეების - ოგიუსტ როდენისა და მისი მოსწავლის, შეყვარებულისა და მუზის, კამილა კლოდელის ბედსა და შემოქმედებას ეძღვნება. 15 წლის განმავლობაში, როდენსა და კლოდელს ვნებიანი შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდათ, თუმცა მათი სიყვარული ტრაგიკული აღმოჩნდა. მხატვრებს შორის მომხდარმა განხეთქილებამ კამილას საბედისწერო დარტყმა მიაყენა, სულიერი ჯანმრთელობა შეურყია და მისი გარდაცვალების მიზეზად იქცა.

სამყაროსაგან განდგომილ და სიღატაკეში დარჩენილ კამილას ფსიქიკური პრობლემები დაეწყო. თითქოს, მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ავადმყოფური იდეა, რომლის მთავარი ფიგურა როდენი იყო, ფსიქიკური აშლილობით დასუსტებული ქალის გონებას განუწყვეტლივ ტანჯავს. მან 30 წელი ფსიქიატრიულ კლინიკაში გაატარა, სადაც ყველასგან დავიწყებული და მიტოვებული 1943 წელს გარდაიცვალა.

# სასჯელმოხდილმა გორელმა მამაკაცმა ცოლი და შვილები სახლიდან გააგდო

მამაკაცმა, რომელიც სასჯელს ძალადობისთვის იხდიდა, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ცოლი და 2 შვილი სახლიდან გააგდო. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა გუშინ, გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში მოხდა. ფაქტი ადგილობრივებმა გააპროტესტეს და პოლიცია გამოიძახეს.

**„ციხეში იჯდა ცოლის ცემის ბრალდებით ერთ წელზე მეტხანს. მაშინაც ჩვენ დავუდექით ამ გოგოს მხარში და შევატყობინეთ პოლიციას, ვუთხარით, როგორ აწამებდა. ციხიდან გამოვიდა და უარესი გააკეთა. გუშინ დილით დაურეკა, ციხიდან გამოვდივარ და გორში დამხვდითო. წავიდა ეს გოგო შვილებთან ერთად დასახვედრად და თურმე რა, აქ არ იყო თვითონ და თავისი პირველი ცოლი ადვოკატთან ერთად. ამათი სახლიდან გასვლა იყო და შეცვივდნენ შიგნით, ტანსაცმლის და სხვა ნივთების გადმოყრა დაიწყეს. კარები ჩარაზეს. დატოვეს ეპილეფსიანი გოგო, მცირეწლოვან შვილებთან ერთად ქუჩაში. ქმარს თუ არ უნდიხარ, უნდა გაგაგდოსო, რა ისტერიკას იმართებთო, ასე გვითხრა მისმა პირველმა ცოლმა, რომელიც მას ციხიდან გამოსვლის შემდეგ შეურიგდა. ძალიან კარგი დედაა, ეს კაცი კი არის სასმლის მოყვარული და მოძალადე. ჩვენ თანასოფლელები ვითხოვთ სამართალს!“** — აცხადებენ მეზობლები.



მამაკაცი, რომელმაც ცოლი და შვილები სახლიდან გააგდო, პოლიციამ დაკითხვაზე გადაიყვანა. გამოკითხეს მისი მეუღლეც, რომელიც მოგვიანებით, მცირეწლოვან შვილებთან ერთად, თავშესაფარში გადაიყვანეს.

**„ნიუპოსტი“**



# ლევან ჯიბღაშვილი ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს

**ცნობილი ბიზნესმენი და მსახიობი ლევან ჯიბღაშვილი ნარკოდანაშაულის ბრალდებით დააკავეს.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება-წარმოებას, შეძენას, შენახვას, გადაზიდვას ან გადაგზავნას გულისხმობს.

# გალაქტიონ ღლონტი



**გარდაიცვალა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი, ვეტერანი ჟურნალისტი, წლების განმავლობაში (1970–2005) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიის პასუხისმგებელი მდივანი, ყველასათვის საყვარელი, ღირსეული ადამიანი გალაქტიონ ანთიმოზის ძე ღლონტი. საგულისხმოა ის, რომ ბატონი გალაქტიონის მეუღლე, აწ გარდაცვლილი ქალბატონი თენგელა ლორთქიფანიძე, ასევე ემსახურებოდა ქართულ მეცნიერებას და მრავალი წლის განმავლობაში გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ პასუხისმგებელი მდივანი.**

**გალაქტიონ ღლონტი თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა ლიტერატორთა წრის პირველი თაობის წარმომადგენელია. როგორც პოეტმა, მან სწორედ ამ წრეში გადადგა თავისი პირველი ნაბიჯები. ლექსებს კი წერდა, მაგრამ თავისი მოკრძალების გამო, არ ცდილობდა, ფართო მკითხველისათვის გაენდო საკუთარი ტკივილი თუ სიხარული. მხოლოდ XXI საუკუნეში გადაწყვიტა, მზის სინათლეზე გამოეტანა თავისი ლექსები, რომლებიც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე უადვილებდნენ ლიტერატორის მძიმე, დაუფასებელ შრომას. ეს პოეტური კრებულებია: „ბინდის ნათელი“, „სული ცისაკენ მიემართება“ და „ასი ლექსი“, რომლებშიც ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის ნიჭიერება და თავისთავადობა. მის ლექსებს სხვათაგან გამოარჩევს ემოციურობა, გრძნობათა სიწრფელე, ტემპერამენტი და უშუალობა. ასევე გამორჩეული იყო ბატონი გალაქტიონი თავისი კეთილგანწყობით, გულისხმიერებითა და მზრუნველობით როგორც განსაცდელში მყოფთა, ისე საზოგადო საჭირბოროტო საქმეთა მიმართ.**

**ბატონი გალაქტიონის გარდაცვალებამ ყველას ძლიერ დასწყვიტა გული. მისი სახელით ყოველთვის იამაყებენ ოჯახის წევრები, ახლობლები, თანამშრომლები და ნაცნობები.**

**უფალმა აცხონოს ქართველი მამულიშვილის,
მონისა ღვთისა გალაქტიონის სული! ამინ!**

**გრეტა ჩანტლაძე,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,**
**ამერიკის საერთაშორისო საინფორმაციო აკადემიის ნამდვილი წევრი;**
**მედეა (დოდო) ღლონტი,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი**

---

**ოტია სარჩიმელია ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა უკეთილშობილესი, გამორჩეული, სიცოცხლით სავსე უახლოესი მეგობარი**



## რაჯი (ბაჯო) დავითის ძე გოროზია

**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.**

**დაკრძალვა 27 IV, მარტვილის რაიონი, სოფელი დიდი ჭყონი (ნაფოსტარი).**

---

**დარეჯან ელიაძე, მარინა კანდელაკი, რომან კიზირია, სპარტაკ ქობულია, გურამ გუნავა, ზაურ თელია ოჯახებით იუწყებიან, სათნო, კეთილშობილი ქალბატონის**

## ზაირა ხოშტარია-ჭანტურიას

**გარდაცვალებას და მწუხარებაში თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

---

**ნანული (ნანა) გუნია ოჯახით დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი ქალბატონი**

## ზაირა ხოშტარია-ჭანტურია

**და თანაუგრძნობს შვილებს, შვილიშვილებს და ახლო ნათესავებს.**

# ანთიმოზ ივერიელის სახარება საქართველოს დაუბრუნდა



**ანთიმოზ ივერიელის სახარება, რომელიც მან რუმინეთში Snagov-ის მონასტერში (თავისივე დაარსებულ სტამბაში) დაბეჭდა 1697 წელს, ამიერიდან საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის (გენერალური დირექტორი — მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი კეკელიძე) წიგნის მუზეუმში დაიდებს ბინას. სახარების აღმოჩენის და კერძო პირისგან შეძენა-ჩამოტანის პროექტში გიორგი კეკელიძესთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული მისი თანაგუნდელები — მირიან ხოსიტაშვილი (ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე) და ლევან თაქთაქიშვილი (ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების ხელმძღვანელი). უძველსი სახარება, რომელიც სამ საუკუნეზე მეტს ითვლის რუმინულ ენაზეა დაბეჭდილი და ქართული ორნამენტებით არის გაფორმებული.**

ანთიმოზ ივერიელი 1650 წელს მესხეთში, სოფელ უდეში დაიბადა, 16 წლის ასაკში თურქებმა მოიტაცეს და სტამბოლის მონათა ბაზარზე გაიყვანეს. ანთიმოზი იერუსალიმის პატრიარქმა გამოისყიდა. ვლახეთში მოხვედრილმა მრავალმხრივი მოღვაწეობა გაშალა. ამ დროს იქაურობას განაგებდა კონსტანტინე ბრინკოვიანუ, რომლის მართვის წლები რუმინეთის კულტურის აყვავების ხანად ითვლება. დიდია ანთიმოზ ივერიელის ღვაწლი ქართული სტამბის დაარსებაში.



თბილისში სტამბას საფუძველი ჩაუყარა მისმა მოწაფემ მიხაილ იშტვანოვიჩმა. 1709 წელს ამ სტამბაში დაიბეჭდა „სახარება“. როგორც პოლიტიკური მოღვაწე იბრძოდა რუმინეთის დამოუკიდებლობისათვის, ხალხს მოუწოდებდა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. რადიკალურმა კურსმა მთავართან დააპირისპირა, რასაც ანთიმოზ ივერიელისთვის სასულიერო ღირსების აყრა და ექსორია მოჰყვა. სინას მთას მიმავალი გზაში მოკლეს.

**რევაზ თოფურია**

# ტერაქტების სერია შრი-ლანკაზე

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, კუნძულზე თავდასხმას კვლავ გეგმავენ. ამის შესახებ განცხადება აშშ-ის საგარეო უწყების ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**



„ტერორისტული ჯგუფები განაგრძობენ თავდასხმების მომზადებას. ტერორისტების სამიზნე შეიძლება გახდეს ტურისტული ადგილები, სატრანსპორტო კვანძები, მაღაზიები, ადგილობრივი ხელისუფლების შენობები, სასტუმროები, კლუბები, რესტორნები, სამლოცველოები და პარკები“, — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

სახელმწიფო დეპარტამენტი აშშ-ის მოსახლეობასა და დიპლომატებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

შრი-ლანკაზე გუშინ აღდგომის დღესასწაულზე 8 აფეთქება მოხდა, ტერორისტების სამიზნე კათოლიკური ეკლესიები და ფეშენებელური სასტუმროები გახდა. დაღუპულთა რაოდენობა ამ დროისთვის 290 აღწევს, მათ შორის 27 უცხოელია, დაშავებულია 500 ადამიანი, ხელისუფლება მსხვერპლის რაოდენობის გაზრდას ვარაუდობს, რადგან დაშავებულთა შორის რამდენიმე მძიმე მდგომარეობაში იმყოფება.

შრი-ლანკაზე მომხდარ ტერაქტებს დანიის ყველაზე მდიდარი ადამიანის ანდერს ჰოლჩ პოვლსენის სამი შვილი ემსხვერპლა. პოვლსენი ყველაზე მსხვილი კერძო მიწის მფლობელია შოტლანდიაში, ტანსაცმლის მაღაზია Bestseller-ის ერთპიროვნული მფლობელი და Asos.com-ის ყველაზე მსხვილი აქციონერი. მისი ქონება 4.5 მილიარდ ფუნტ სტერლინგადაა შეფასებული.

46 წლის პოვლსენი მეუღლესთან და 4 შვილთან ერთად შრი-ლანკაზე აღდგომისთვის კერძო თვითმფრინავით ჩაფრინდა და ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში გაჩერდა, რომელიც ტერორისტების სამიზნე გახდა.

# უფასო კონცერტი თვითმფრინავში

**ამერიკელი მევიოლინე იძულებული გახდა თვითმფრინავში მინი კონცერტი ჩაეტარებინა, რათა ინსტრუმენტის დასადებად ადგილი მოეპოვებინა. დაუგეგმავი კონცერტის მოწყობა მუსიკოსს Delta-ს ბორტზე მოუხდა.**

როგორც ბოლოს გაირკვა, მევიოლინე გიორა შმუდტმა დააგვიანა და თვითმფრინავის ბორტზე უკანასკნელი ავიდა. ამ დროს კი ბარგისთვის განკუთვნილი სათავსოები სავსე იყო და მევიოლინემ ვიოლინოს დასადებად ადგილი ვერ იპოვა. მუსიკოსმა ბორტგამცილებელს დახმარება სთხოვა და აუხსნა, რომ ვიოლინოს ბარგში ვერ ჩააბარებდა.

თუმცა ვიოლინოსთვის ადგილი არსად არ ჩანდა. ბოლოს ბორტგამცილებელმა გამოსავალი იპოვა და მგზავრებს კონცერტის სანაცვლოდ, მათი ბარგის სავარძლის ქვეშ განთავსება და ვიოლინოსთვის ადგილის დათმობა შესთავაზა.



როდესაც საჰაერო ხომალდი შესაბამის სიმაღლეზე ავიდა ბორტგამცილებელმა მუსიკოსს კონცერტის ჩატარების პირობა შეახსენა.

ჰაერში, თვითმფრინავში კონცერტის ჩატარება მუსიკოსისთვის ტურბულენტობის გამო მარტივი არ ყოფილა. თუმცა მევიოლინემ მოახერხა და ბახის მესამე სიმფონია დაუკრა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.6935; ევრო - 3.0291;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5021;
100 რუბლი - 4.2126; თურქული ლირა - 0.4646;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5843;
1000 სომხური დრამი - 5.5801.

### ამინდი 23 აპრილისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე | +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე | +14 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +5 | | +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე | +12 |
| თბილისი: | ღამე | +5, | დღე | +15 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge